გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№25 (1051) 6 - 8 მარტი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ენერგეტიკის სამინისტრო წელს მილიარდი ლარის ინვესტიციას ელის



გვ. 2



## რატომ ვერ მოუწყობენ იმპიჩმენტს გიორგი ქადაგიძეს

საქართველოს ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტების სკანდალური ისტორიები და მსოფლიოში ყველაზე მკაცრი კანონი ეროვნული ბანკის შესახებ

გვ. 5-6

## ამერიკელები საქართველოს ხელისუფლებას შრომის ინსპექციის შექმნისკენ მოუწოდებენ

გვ. 8

## ვინ აგებს პასუხს წითელ წიგნში შეტანილი ხეების მოჭრასა და საფრთხის შემცველი გვირაბის მშენებლობაზე



გვ. 2



## კომპრომატები, რომლებიც პარლამენტარებს დაუდეს!!!

რომელი დეპუტატები ვეღარ მოხვდებიან მომავალ პარლამენტში

გვ. 3



## ალეკო ელისაშვილი დავით ნარმანიას საკრებულოში დასაბარებლად ხელმოწერებს აგროვებს



გვ. 2

რა შემთხვევაში მოითხოვს დეპუტატი ნარმანიას გადაყენებასა და თბილისის მერის ვადამდელი არჩევნების ჩატარებას!

## როლანდ ახალაიას შურისძიება და ოჯახის 4 წევრი ციხეში

თხილის ბიზნესის დასათმობად, სამ ძმას „წამლის" მოხმარება, დედას კი ბარიგობა „დაუმტკიცეს"

გვ. 7

## თიბისი ბანკი TBC BANK

### ინოვაციური ვებპორტალი მცირე ბიზნესის განსავითარებლად

IFC-ს, საქართველოს მთავრობასა და თიბისი ბანკს შორის ერთობლივი მემორანდუმი გაფორმდა

გვ. 9

რუსუდან ხავთასი

# ენერგეტიკის სამინისტრო წელს მილიარდი ლარის ინვესტიციას ელის



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ გასულ წელსაც დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი გამართული სტრუქტურაა და გარდა იმისა, რომ მომხმარებელს ხარისხიან მომსახურებას უწევს, ინვესტიციების განხორციელების მხრივაც, ერთ-ერთი პირველია. მიმდინარე წელს ენერგეტიკის სექტორში მილიარდ ლარამდე ინვესტიციის მოლოდინია და ეს მოლოდინი რეალური ფაქტებით არის გამყარებული.

ინვესტიციების გარდა, ენერგეტიკის სამინისტროს პრიორიტეტად მოსახლეობისთვის ენერგორესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ჰიდრორესურსების რაციონალური ათვისება რჩება. ამასთან ერთად, ელექტროგადამცემი ხაზებისა და მაგისტრალების რეაბილიტაცია და სატრანზიტო ინფრასტრუქტურის განვითარება იგეგმება.

საგულისხმოა, რომ პრიორიტეტებს შორის, ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი ოკუპირებულ ტერიტორიებთან მდებარე სოფლების გაზიფიცირების საკითხი რჩება. 2015 წლისთვის ბუნებრივი აირის ქსელში ჩაერთვება ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარე 58 სოფელი, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკვე გამოიყო 19 მლნ ლარი. სოფლების გაზიფიცირების სამუშაოებს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია კონტრაქტორ კომპანიებთან ერთად განახორციელებს. წელსვე დასრულდება უშუქო სოფლების ელექტროფიკაციის პროექტი — „სინათლე ყველა სოფელს“. უკვე ელექტროფიცირდა 22 სოფელი. მიმდინარეობს სამუშაოები და უახლოეს მომავალში ელექტროენერგიით სარგებლობას შეძლებს დამატებით 6 სოფელი. პროექტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკვე გამოიყო 6.5 მლნ ლარი.

ენერგოინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით აქტიურად გრძელდება ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები. წელს ენერგეტიკული კომპანიები ქსელის რეაბილიტაციაზე 74 მლნ ლარს დახარჯავენ. 40 მლნ ლარი დაიხარჯება ახალი აბონენტების ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვასა და გაზსადენების რეაბილიტაციაზე.

ექსპლუატაციაში შედის გარდაბნის თბო-ელექტრო სადგური, რომელის საინვესტიციო ღირებულებაც 220 მლნ აშშ დოლარია და რომლის მშენებლობაც თურქულმა კომპანია „ჩალიკ ენერჯიმ“ უკვე დაასრულა.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დახმარებით ახორციელებს „რეგიონული ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტს“ (ADB); „საქართველოს ელექტროგადამცემის ქსელის გაუმჯობესების პროექტსა“ (WB) და „ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს“ (USAID); აღნიშნული პროექტების განხორციელებისთვის წელს 115 მლნ ლარამდე დაიხარჯება.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ, საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდთან ერთად დაიწყო საქართველოს მდინარეების ჰიდროპოტენციალის შესწავლა. რადგან ჰიდრორესურსების აქტიური გამოყენება ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. პირველ ეტაპზე ფონდი შეისწავლის რიონის წყალშემკრები აუზის პოტენციალს. მიმდინარეობს 14 ჰიდრო ელექტრო სადგურის მშენებლობა. წელს დაგეგმილია დარიალ ჰესის, ფშაველა ჰესისა და ნაბეღლავ ჰესის ექსპლუატაციაში გაშვება.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ქარის ელექტროსადგურისა და ნამახვან ჰესის მშენებლობისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს იწყებს. პროექტები ჯამურად წელს 12 მლნ ლარის ინვესტიციას მოიცავს. 2015 წელს მხოლოდ ჰესების ტექნიკურ ეკონომიკურ კვლევებსა და მშენებლობებისთვის 400 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდება.

ეს არის არასრულყოფილი ჩამონათვალი, რის განხორციელებასაც ენერგეტიკის სამინისტრო გეგმავს. და მერე აღარ უნდა გაგვიკვირდეს, როცა კახა კალაძე შემაჯამებელ ანგარიშს გააკეთებს და მისი სამინისტრო ყველაზე წარმატებული იქნება.

სასამართლო დავა

# ვინ აგებს პასუხს წითელ წიგნში შეტანილი ხეების მოჭრასა და საფრთხის შემცველი გვირაბის მშენებლობაზე

ლევან ღვინიაშვილი

**თითქოს ოდითგანვე ასე იყო საქართველოში — ის, რაც არ შეიძლებოდა ერთისთვის, შეიძლებოდა მეორესთვის და ამ, ერთი შეხედვით, აქსიომას, ბოლო არც ერთი ხელისუფლების პირობებში არ მოელო. ამით კი არამარტო ქვეყნის იმიჯი ზარალდება, არამედ კონკრეტული ფირმები. ისეთები, რომლებიც ბაზარზე სამუშაო ადგილებს ქმნიან და ცდილობენ, საქმე ხარისხიანად და რაც მთავარია, კანონის დაცვით გააკეთონ. ზარალდებიან ქართული ფირმები, უაზრო ბრალდებებით კი, საქმეს ვერავინ აკეთებს. ეს არამარტო ადგილობრივებს, არამედ ინვესტორებსაც აფრთხობს. კონკრეტულ მაგალითს აქვე მოგითხრობთ.**

გასული წლის შემოდგომაზე ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა 2.7 მილიონი ლარის მოცულობის ტენდერი გამოაცხადა. გამარჯვებულ კომპანიას დიღმის ჭალებში სპორტულ კომპლექსთან მისასვლელი გზის სამშენებლო სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა. აღნიშნული კომპლექსი 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვისაა განკუთვნილი. ტენდერი კომპანია „მშენგრუფმა“ მოიგო და სამუშაოების შესრულებაც დაიწყო, მაგრამ...



**„პროექტის „მშენგრუფისთვის“ გადაცემის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ 1150-მეტრიანი გზიდან, 680 მეტრზე სამუშაოების შესრულება შეუძლებელი იყო. გზის გარკვეულ ნაწილზე უნდა აშენებულიყო ფეხით მოსიარულეთა გვირაბი, რომლის გადახურვის ფილა არ იყო მყარი და ამ კონსტრუქციას, შესაძლოა, ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხე შეექმნა. ასევე, გარკვეული პრობლემები იყო გზის საყრდენ კედელთან და განათების ბოძებთან დაკავშირებითაც. ბოლო 300 მეტრზე კი, საჭირო იყო 65 ერთეული ხის მოჭრა, რომელთაგან 5 ხე წითელ წიგნში შედის“,** — აცხადებს კომპანიის დირექტორის მოადგილე ალექსი ჯავახიშვილი.

ამის შემდეგ, გამარჯვებულმა კომპანიამ, პროექტში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, ტექნოლოგიური განვითარების ფონდს წერილით მიმართა. კომპანიის წერილში აღნიშნული იყო, რომ თუ ხარვეზები არ გამოსწორდებოდა და პროექტი კორექტირებას არ განიცდიდა, სამუშაოები ვადაში ვერ დასრულდებოდა. წერილის მიწერის შემდეგ, გასული წლის 3 ნოემბერს, ტექნოლოგიური განვითარების ფონდის ხელმძღვანელ კახა გვანცელაძესთან შეხვედრა გაიმართა. გვანცელაძე კომპანიას ზეპირსიტყვიერად დაჰპირდა, რომ არსებული პრობლემების მოგვარებაში პირადად დაეხმარებოდა, სანაცვლოდ კი კომპანიისგან წერილი მოითხოვა, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა, რომ პრობლემები მოგვარებულია (?!). ამის შემდეგ, „მშენგრუფს“ ფონდის მხრიდან არანაირი პასუხი აღარ მიუღია.

გამომდინარე იქიდან, რომ 3 ნოემბრიდან 10 ნოემბრამდე, ფონდის მხრიდან, არანაირი რეაგირება არ მომხდარა, კომპანიამ თბილისის მერიას მიმართა, რომელმაც კომპანია „სინათლის ქალაქთან“ გადაამისამართა. „სინათლის ქალაქმა“ კვლავ მერიასთან და ამ პროცესებს თითქმის ერთი თვე დასჭირდა.

უკვე დეკემბერში კი „მშენგრუფს“ ცალმხრივად შეუწყვიტეს ხელშეკრულება და ჯარიმის სახით მილიონ ლარამდე თანხის გადახდა დააკისრეს. უფრო კონკრეტულად, 17 დეკემბერს, ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა, გეგმა-გრაფიკით შესასრულებელი სამუშაოების ვადაგადაცილებისთვის დაკისრებული ჯარიმების გამო, რომელიც ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს აჭარბებდა, „მშენგრუფს“ ხელშეკრულება ცალმხრივად შეუწყვიტა. ჯავახიშვილის თქმით, 2015 წლის იანვარში, სამუშაოების გასაგრძელებლად, პირდაპირი შესყიდვის წესით, პროექტი კომპანია „კალასს“ გადაეცა, დაკორექტირებული სახითა და გახანგრძლივებული ვადით.

**„თუ ვინმე მაინც შეასრულებდა ამ პროექტს დადგენილ ვადებში, ის სისხლის სამართლის დამნაშავე უნდა გამხდარიყო, რადგან უნდა მოეჭრა წითელ წიგნში შესული ხეები და აეგო ისეთი გვირაბი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა მოქალაქეებისთვის. ჩვენ ვარჩიეთ, გვებრძოლა პროექტის შესაცვლელად, ვიდრე გავმხდარიყავით სისხლის სამართლის დამნაშავეები და სამუშაოები ამ გზით მიგვეყვანა ბოლომდე“,** — აცხადეს ჯავახიშვილი.

**„მშენგრუფმა“ დაარღვია ხელშეკრულების ვადები. დაახლოებით, 20 დღე გადააცილეს დაგეგმილ გრაფიკს, რის გამოც მათ ხელშეკრულება შევუწყვიტეთ. არსებობდა მხოლოდ უმცირესი ტექნიკური პრობლემები, რომლებმაც არ შეიძლება შეაფერხოს ასეთი მნიშვნელოვანი პროექტისთვის სამუშაოების მსვლელობა“,** — ეს კი ფონდის ხელმძღვანელის, კახა გვანცელაძის განცხადებაა.

მისივე თქმით, აბსოლუტურად არაადეკვატური ინფორმაციაა მოწოდებული კომპანიის მიერ აღნიშნული დაპირების შესახებაც.

**„ის, რომ ვინმეს რამეს დავპირდი, არის სრული ნონსენსი. მე, ამ შემთხვევაში, სახელმწიფო მოხელე ვარ, რომელიც ექვემდებარება კანონს. არავითარი დაპირებების გაცემა, კანონს ზემოთ, არ შემიძლია. ამ შემთხვევაში, მთავარი იყო ხელშეკრულება და ხელშეკრულების ვადები, რომელიც სამწუხაროდ დაირღვა. კომპანიამ ფონდს, პროექტში არსებული ხარვეზების კორექტირებისთვის, მხოლოდ მას შემდეგ მიმართა, რაც გრაფიკით დადგენილ ვადებს გადააცილა“,** — აცხადებს გვანცელაძე.

სხვათა შორის, გვანცელაძე არც იმას მალავს, რომ „მშენგრუფთან“ სხვა პრეტენზიაც აქვს: **„მე შემიძლია, დოკუმენტალურად ვაგო პასუხი ყველა იმ ინფორმაციაზე, რასაც გაწვდით. იმავე სივრცეში, დიღმის ჭალებში, ჩვენ ჩავატარეთ მეორე ტენდერი, რომელშიც ასევე მონაწილეობდა „მშენგრუფი“. კომპანიამ გააყალბა სატენდერო დოკუმენტი. საუბარია საბანკო დოკუმენტზე, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ მათ გარკვეული საკრედიტო ურთიერთობები აქვთ ბანკთან. რაც შეეხება „კალასს“, მათ იმავე სახით და იმავე ვადით მივეცით პროექტი, რა ვადითაც „მშენგრუფს“ ჰქონდა“.**

საქმე სასამართლომდეა მისული და მტყუან-მართალი, წესით, იქ უნდა გაირკვეს.

ვერსიანიუსი

## საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი უკრაინაში იმყოფება



საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი, საგარეო ურთიერთობათა მდივანი თენგიზ ფხალაძე კიევში უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს, ნატალია გალიბარენკოს შეხვდა.

შეხვედრისას მხარეებმა საქართველო-უკრაინის ურთიერთობა, კერძოდ კი 2015 წელს მაღალი რანგის ორმხრივი შეხვედრების წინასწარი გეგმა განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს იმ გადაწყვეტილებათა იმპლემენტაციაზე, რომლებიც გიორგი მარგველაშვილისა და პეტრო პოროშენკოს შეხვედრის დროს 22 თებერვალს იყო მიღებული, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი „უკრაინის ერთობის მარშში“ მონაწილეობისთვის კიევში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა.

შეხვედრისას ასევე ისაუბრეს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით გამოცდილების გაცვლისათვის ეფექტიან თანამშრომლობაზე. მხარეები შეთანხმდნენ სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია სუამის ფარგლებში, რომელსაც 2015 წელს უკრაინა თავმჯდომარეობს, სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ.

*„პირველი“*

ეკა სეხნიაშვილი
599-53-56-06



# კომპრომატები, რომლებიც პარლამენტარებს დაუდეს!!!

## რომელი დეპუტატები ველარ მოხვდებიან მომავალ პარლამენტში

**წინილებს შემოდგომაზე ითვლიან. „შუშის სასახლეში" კი დეპუტატები უკვე თითებზე დასათვლელია. მართალია, ხალხის რჩეულნი ბიძინა ივანიშვილის სადღეგრძელოს ქუთაისის რესტორნებში ყანწებით სვამენ, მაგრამ დითირამბებად დაღვრილთა უმრავლესობას მომავალ პარლამენტში ვეღარ ვიხილავთ. პოლიტიკური ექსპერტების მიერ უნიათოდ შეფასებული საკანონმდებლო ორგანო ერთი მთქნარებამორეული საფიხვნოა, სადაც არც გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერები ჰყავთ, ინტელექტის სერიოზული დეფიციტია და ცოდვა გამხელილი სჯობს, უმრავლესობა დღემდე ელემენტარულ საკანონმდებლო პროცედურებშიც კი ვერ ერკვევა.**

ის, რომ პარლამენტში დღეს არსებული გუნდი თავად ბიძინა ივანიშვილსაც აღიზიანებს, აღარავისთვისაა უცხო. სახელისუფლებო გუნდის შიგნით დისციპლინა რომ არ არსებობს, ფაქტია. როგორც იტყვიან, ვისი ვიოლინო ვის როიალშია, ვერ გაიგებ. გუნდურობის არქონა რომ „ოცნების" აქილევსის ქუსლია, ამას თავად უმრავლესობის დეპუტატებიც არ მალავენ. შიდაფრონტები რამდენ ხაზზეა გაშლილი, თავადაც არ დაუთვლიათ. თუ ქუცნაშვილის მამა და კახი კალაძე ჰესებში იყოფენ ლუკმას, სამაგიეროდ, ქუცნაშვილი საგანელიძეზეა ნაწყენი და თანაპარტიელებს იმ ცნობილი „დონ კარლეონესავით" დამშვენებული ხელჯოხით ემუქრება. სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე თავისივე გუნდიდან უარყოფილი კანდიდატის გაღიზიანება რა გასაკვირია?! ამორფულ სტრუქტურადქცეულ „ქართულ ოცნებაში", ერთი შეხედვით, ყველაფერი დალაგებულ-დავარცხნილია, თუმცა „თმადაუვარცხნელად" წოდებული ახალი იდეოლოგიური მდივანი ძველებს არ მოსწონთ. მამამისი გია კობახიძე პოლიტიკაში ძველი და გამოცდილი კადრია, მაგრამ ირაკლის ფაქტორმა მაინც გააღიზიანა ძველი „ოცნებელები".

**ამას ახლახან გაჟღერებული ამბავიც დაერთო, რომ პარტიის სახეებად მოაზროვნეები მოჰყავთ. საპარლამენტო უმრავლესობაში ამან ბზარი გააჩინა, ჩვენ ვისზე ნაკლებად ვაზროვნებთო და პოლიტსაბჭოს ბოლო სხდომაზე, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილი უძღვებოდა, დიდი გარჩევა ყოფილა — ივანიშვილის მესიჯი, ინტელექტუალები გვინდა პარლამენტში, როგორც ჩანს, ირაკლი კობახიძემ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო, ადგა და მთელი „რა, სად, როდის" დაპატიჟა პარტიაშიო... თანაც ამ მოაზროვნეთაგან ბევრი ნაციონალებისადმი სიმპათიებშიცაა შემჩნეულიო.**

...მოკლედ, არსებული პარლამენტარებიდან სახელისუფლებო პარტიის ნახევარზე მეტს „ოცნების" სიაში აღარ ჩასვამენ, რამაც ივანიშვილის პარტიის შიგნით უკმაყოფილება გაზარდა. ამბობენ, მათ წინააღმდეგ სერიოზული კომპრომატებია ბიზნესში წილების, ნათესაური კლანებისა და სხვა მაქინაციებში მონაწილეობის შესახებ. მართალია, ხელისუფლებაში ირწმუნებიან, რომ ვადამდელი არჩევნები მხოლოდ ნინო ანზოროვნასა და პატრიოტთა ალიანსს აწყობს და ყველაფერი კონსტიტუციურ ჩარჩოებში ჩაჯდება, მთელი ეს ფაცი-ფუცი კი, მხოლოდ პარტიის გამოცოცხლება-გაჯანსაღებისთვის კეთდებაო, მაგრამ რეგიონებში საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ. ის, რომ თავად კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე მომავალ სიაში აღარ იქნება, ესეც ცნობილია, აქ მხოლოდ სიძის, დავით კირვალიძის სოფლის მეურნეობისდროინდელი სკანდალები არაფერ შუაშია, ხმალაძის სახელი კანონიერ ქურდებთან დაკავშირებულ უსიამოვნო კონტექსტში რამდენჯერმე გაჟღერდა და კულუარებში იმასაც ამბობენ, ზედმეტად ინიციატივიანიაო. ივანე კიღურაძეც ინტელექტუალია, მაგრამ სიაში ვეღარც ის მოხვდება, რადგან მოთხოვნა ახალგაზრდა სახეებზე გაკეთდება. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ირაკლი სესიაშვილის კანდიდატურაც საასწორზე დევს, რადგან თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს უნისონი ალასანიასთან უფრო ჰქონდა, ვიდრე მინდია ჯანელიძესთანო. სიაში ვერც ნანა ყეენიშვილი მოხვდება, რომელსაც „მოსიარულე კომპრომატს" ეძახიან, თუმცა მას მოგვიანებით მივუბრუნდებით.

**კომპრომატები არსებობს ე,წ, შუაშისტურ ფრაქციაზეც: ეს „ნაცების" განაყარი ნაწილია, მარიკა ვერულაშვილის თავმჯდომარეობით, რომელთა უმრავლესობას პარლამენტში ვეღარ ვიხილავთ. მაჟორიტარების ამ ნაკადზე ბიძინას უთქვამს, ინდულგენციები უკვე გაცემული მაქვსო. კონკრეტულად, რაზეა საუბარი, აღნიშნული კომპრომატები „ვერსიას" უკვე მოაწოდეს და უფრო დეტალურად მკითხველს ახლო მომავალში შევთავაზებთ.**

**„ვერსიას" კომპეტენტური სახელისუფლებო წყაროები უამბობენ, რომ ჯაჭვლიანი, კურტანიძითურთ, ნინო ბურჯანაძის ალიანსში დაბრუნდება და ასევე საპარლამენტო ტატამს დაემშვიდობებიან ხაბარელი და ხაბელოვი.** კუნთმაგარ დეპუტატებს სხვა მიმართულებით დააპორტირებენ, რადგან ამჯერად, მოთხოვნა ინტელექტზეა. პარლამენტს, სავარაუდოდ, დაემშვიდობება ზურაბ ზვიადაურიც, რომელსაც, გარდა რეგიონული ნეპოტიზმისა, რამდენიმე სერიოზული სკანდალიც უკავშირდება ისევე, როგორც ვიქტორ ჯაფარიძეს, რომელზეც იმდენი კომპრომატია, თავზე თმა აღარ აქვს იმდენი — დაწყებული რაიონში ბიძაშვილების, რძლის, დისშვილისა და სხვა ახლო ნათესავები დასაქმებით, ასევე კრიმინალურ ავტორიტეტებთან მისი ახლო მეგობრობით დამთავრებულიო. ოპონენტები ცნობილი კრიმავტორიტეტის „მუნჯოს" ძმის ქელეხისა და გამგეობის დარბაზში გაშლილი სუფრის ამბავსაც იხსენებენ. სიაში არ იქნება არც „თოვლის პაპა" ჯაფარიძე და მით უმეტეს, არც თედო ჯაფარიძე, რომლის კომენტარები ზურაბ აბაშიძეს ისე აღიზიანებდა, სიბერის ნიშნებზე დაიწყო საუბარი. უნდა წავიდეს არენიდან კარლო კოპალიანი, გოგი ქავთარაძე და აგრესიულ ულტრანაციონალად ცნობილი ზაზა პაპუაშვილიც. გუგული მაღრაძემაც ბოლო დროს ძალიან გაშალა ფრთები პარტიაშიო.

ის, რომ დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე დიპკორპუსში მაღალ პოსტზე გადავა, თითქმის გადაწყვეტილია. ისიც გადაწყვეტილია, რომ ტყიბულის მაჟორიტარი აღარ იქნება ელისო ჩაფიძე, რომელსაც ბოლო დროს პარტიაში სიტუაცია დაეძაბა. გარდა იმისა, რომ მას ირაკლი ტრიპოლსკისთან ჰქონდა კონფლიქტი, კიდევ ერთი პარტიული „ფეისი", ტრიპოლსკის მეგობარი ნუგზარ ყიფიანი დაუპირისპირდა, რომელსაც ასევე დიდი გავლენა აქვს. ამბობენ, ელისო **ჩაფიძე არც ირაკლი კობახიძის გემოვნებაში ჯდება, რომელსაც კახი კალაძისგან სრული კარტბლანში აქვს, კალაძეს კი ივანიშვილი და მისი ოჯახი ენდობა.**

**დეპუტატი ომარ ნიშნიანიძე „ვერსიასთან" საუბარში აღიარებს, რომ „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს ბოლო სხდომაზე მისი მისამართით საყვედურები გამოუთქვამთ, თუმცა კონკრეტულად, ვის, ჯერჯერობით ამას არ აკონკრეტებს და ვითარების გარკვევას მოგვიანებით აპირებს:**

— ვირუსი მქონდა და, სამწუხაროდ, ამ სხდომაზე ვერ მივედი. თუმცა ჩემამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ ჩემი მისამართით გაჟღერებულა საყვედურები. გავარკვევ, სადაც საჭიროა. რა იყო და როგორ.

**— ბატონო ომარ, ახალ საპარლამენტო სიაში, შესაძლოა, ვეღარ გიხილოთ?**

— არა მგონია, უკვე დაზუსტებული იყოს ეს სია. მე პირადად მაქსიმალურად ვიმუშავე. უკმაყოფილო ამომრჩეველი არ მყავს, თუმცა გუნდი გადაწყვეტს, ვინ უნდა იყოს და ვინ არა. ჩვენი გუნდის ლიდერად მე მაინც ბატონ ბიძინა ივანიშვილს მივიჩნევ და კონსულტაციებში ისიც მიიღებს მონაწილეობას, ბუნებრივია.

**— ბატონო ომარ, ჩემთვის ცნობილია, რომ ძალიან ბევრი დღევანდელი შემადგენლობიდან ახალ სიაში ვეღარ მოხვდებით: თქვენზეც იყო საუბარი, ელისო ჩაფიძე, ლორთქიფანიძე და ა.შ.**

— რატომ? ეს ხალხი ძალიან აქტიურადაა ჩაბმული საპარლამენტო მუშაობაში და რახან გუნდის შიგნით ხანდახან თვითკრიტიკულები ვართ, ამიტომ ხომ არ შეიძლება, ამ ხალხზე უარი ითქვას?! ჩვენი მიზანი პირადი გამორჩენა კი არა, გუნდური მუშაობის პრინციპის გაძლიერებაა. მე წინააღმდეგი ვიქნები, თუ ის ხალხი, ვინც იმუშავა სახელისუფლებო გუნდის წარმოჩენაზე, მთლიანად ჩაირეცხება და მხოლოდ ახლებს მოიყვანენ. ვფიქრობ, ბირთვი შენარჩუნდეს და ახალი სახეებით განახლდეს.

**— გავრცელდა ხმა, რომ თქვენ და რამდენიმე დეპუტატმა ამის თაობაზე დაიჩივლეთ ივანიშვილთან..**

— არა, ბოლო პერიოდში ჩვენ აღარ შევხვედრილვართ ბატონ ბიძინას.

**— ბატონო ომარ, „რესპუბლიკელები" თქვენს კოალიციაში პარტიული სიით აღარ იქნებიან წარმოდგენილნი?**

— ვადას დაასრულებენ, თუმცა შემდგომ ალბათ აღარ იქნებიან ჩვენთან ერთად.

**— თუ ვადამდელი არჩევნები არ იქნება, 2 წლით ადრე რატომ დაიწყო კადრებზე აქტიური მუშაობა. არ გაგიჩნდათ კითხვა გუნდის შიგნით, თუ ჩვენ არ გვანაცვლებთ, რატომაა ასეთი ხაზგასმული აქცენტი: თქვენ არ ხართ ინტელექტუალები, ჩვენ ვეძებთ მოაზროვნეებს?**

— არავისზე ნაკლები ინტელექტუალები არ ვართ. **ჩვენ გვაკლდა ის, რომ თავის დროზე, ფუნქციები ზუსტად ვერ გადანაწილდა. ვერ წარმოვჩინდით ისე, როგორც საჭირო იყო, თორემ არც არავისზე ნაკლები წიგნი გვაქვს წაკითხული** თუ ჩვენზე უკეთესებიც არიან, მოვიდნენ, კი ბატონო, ჩვენ არ გამოვეკიდებით არაფერს. მთავარია, ეს ხალხი იყოს საქმის ერთგული, რასაც ჩვენ თავის დროზე ჩავუყარეთ საფუძველი ბატონი ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით.

**— ბატონო ომარ, თქვენ ის დეპუტატი ხართ, რომელიც პარტიული წმენდის პროცესს ტრაგიკულად არ აღიქვამთ და გუნდის შიგნით არსებულ პრობლემებზე საუბრობთ. როგორ მოგწონთ ის, რაც ხდება თბილისის მერიაში, იგივე ვიცე-მერის მარსაგიშვილის საკითხი ანდა ის, რომ ქალაქის მერი „შავი გასასვლელით" ეპარება ჟურნალისტებს?**

— ზოგადად, ჩვენს გუნდურობაში რომ პრობლემაა, ცხადია. თუმცა ეს დამანგრეველი ფაქტორი არ არის. წინააღმდეგობრივი დინებები არსებობს, რადგან კოალიცია ვართ და ჩვენი გაერთიანება მოხდა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ. ახლა უკვე დადგა დრო, იდეური თანხვედრით მოხდეს დაკომპლექტება. ვფიქრობ, რესპუბლიკელები, ალასანიას გუნდი და გიორგი მარგველაშვილი არჩევნებზე ერთად გამოვლენ. ნაციონალები ცალკე დარჩებიან, ბურჯანაძე და პატრიოტთა ალიანსიც იქნება მომავალ პარლამენტში წარმოდგენილი. ასე ვვარაუდობ და, ბუნებრივია, „ქართული ოცნება" სერიოზული სახეებით იქნება დაკომპლექტებული.

**მოკლედ, პარლამენტში შიდადუღილია, „ოცნების" ნაწილს მიაჩნია, რომ ვადამდელ არჩევნებამდე თავი არ ამოუწურავს, ნაციონალებს შიდაპარტიული პრობლემები აქვთ, რაზეც მომდევნო სტატიაში ვისაუბრებთ. პარტიული კასტინგი დაწყებულია!**

ვერსიანიუსი

# ირაკლი ღარიბაშვილი დაინტერესდა, რამდენ ხანში შემცირდება ეკონომიკური ზრდის პარამეტრები



როგორც პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, წელს ეკონომიკური ზრდა, 5-ის ნაცვლად, სავარაუდოდ, 2% იქნება:

„იქიდან გამომდინარე, რომ საგარეო ფაქტორები შიდაპროცესების განმსაზღვრელია, ჩვენ, რა თქმა უნდა, ბიუჯეტის კორექტირება მოგვიწევს".

თავის მხრივ, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა აღნიშნა, რომ სავალუტო ფონდი ხელისუფლებას ურჩევს, წლიური ინფლაცია, ნაცვლად მიზნობრივი 5%-ისა, იყოს 3%. მისივე თქმით, ამ საკითხზე ეროვნულ ბანკთან მუშაობა მიმდინარეობს: **„გარეშოკების გათვალისწინებით, მაკროეკონომიკური პარამეტრების გადაცვლა ალბათ, 2%-იან ეკონომიკურ ზრდაზე მოგვიწევს. სავალუტო ფონდი გვირჩევს, წლიური ინფლაცია, ნაცვლად მიზნობრივი 5%-სა, 3% იყოს. ჩვენ ამაზე ეროვნულ ბანკთან ვმუშაობთ, რათა ზუსტი პროგნოზი გვქონდეს, რაც შესაძლებელია იმისთვის, რომ გადავთვალოთ ბიუჯეტი".**

მთავრობის სხდომაზე პრემიერმა ფინანსთა მინისტრისგან ბიუჯეტის შესრულების ორთვიანი ანგარიშიც ჩაიბარა. როგორც მთავრობის სხდომაზე ნოდარ ხადურმა აღნიშნა, იანვარ-თებერვალში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა მილიარდ 47 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 13%-ია.

ფინანსთა მინისტრის ინფორმაციით, სულ ბიუჯეტში შემოსავლებმა მილიარდ 339 მილიონ 100 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის იგივე მაჩვენებელზე 143 მილიონი ლარით მეტია: **„აღნიშნული მაჩვენებელი პირველი კვარტლის გეგმის 60.9%-ია. რაც შეეხება ხარჯებს, 2 თვის განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიარდ 295 მილიონ 700 ათასი ლარის ხარჯია გაწეული, რაც პირველი კვარტლის 60%, ხოლო წლიური გეგმის 13.5%-ია. წელს იანვარ-თებერვალში 48 მილიონი ლარით მეტია დახარჯული, ვიდრე 2014 წლის ანალოგიურ პერიოდში".**

*„პირველი"*



## ფოტორეპორტიორ ირაკლი გედენიძის ცემასთან დაკავშირებით ერთი პირია დაკავებული

შსს-მ ძალადობით ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მეშვიდე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული ივანე ბეგიაშვილი ძალადობით ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელისშეშლისა და ნივთის დაზიანების ან განადგურების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 4 მარტს, საღამოს, თბილისში, ვარდების მოედანზე მიმდინარე აქციის დროს, ფოტოკორესპონდენტ ირაკლი გედენიძეს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შედეგადაც ფოტოკორესპონდენტმა სხეულის დაზიანებები მიიღო და ასევე დაზიანდა მისი ფოტოაპარატი. დაკავებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო დაზარალებული სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ივანე ბეგიაშვილი მომხდარიდან რამდენიმე საათში თბილისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე დააკავეს.

გამოძიება ძალადობით ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისა და ნივთის დაზიანება ან განადგურების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 188-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

ფოტორეპორტიორ ირაკლი გედენიძეს აქცია „შემოულაწუნეს" მონაწილეთა ნაწილი ფიზიკურად 4 მარტს, ვარდების მოედანზე, აქციაზე, გაუსწორდა.

მიტინგი „შემოულაწუნე" „თავისუფალი საქართველოს", „რეფორმატორებისა" და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ორგანიზებით ჩატარდა. ორგანიზატორების თქმით, მათ ლარის გაუფასურება და ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა გააპროტესტეს. აქციის მონაწილეები, თავდაპირველად, ვარდების მოედანზე შეიკრიბნენ, სადაც ინციდენტი მოხდა — ირაკლი გედენიძე აქციას აშუქებდა, როდესაც ერთ-ერთი ავტომანქანიდან გადმოსულმა აქციის მონაწილემ გედენიძე პროვოკაციაში დაადანაშაულა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, თავში ურტყა და ფოტოკამერა დაუმტვრია. მოგვიანებით, პროტესტი ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან გაგრძელდა.

**გაზეთი „ვერსია" სოლიდარობას უცხადებს ირაკლი გედენიძეს. იმედია, აქციის მონაწილე გულანთებულ პატრიოტებს, ეყოფათ ვაჟკაცობა, დანაშაული აღიარონ, სამართალდამცველებს — პროფესიონალიზმი, საქმე გამოიძიონ, ხელისუფლებას კი პოლიტიკური ნება, შეფასება მისცეს, ჟურნალისტების მიმართ გამოხატულ ყოველ ასეთ აგრესიას...**

**გვერწმუნეთ, ჟურნალისტებისთვის მოღერებული მუშტი საზოგადოებას ბუმერანგის პრინციპით უკანვე დაუბრუნდება. თავისუფალი მედიის დაცვით თითოეული თქვენგანი საკუთარ თავისუფლებას იცავთ!**

# „საქართველოდან საერთოდ წავალ და კარიერას ამერიკაში გავაგრძელებ"

## ვინ არის ირაკლი ღლონტი და ვინ აფინანსებს „რეფორმატორებს"



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**„ახალგაზრდა რეფორმატორების" შექმნის დღიდან პარტიას ნაციონალური მოძრაობის გაგრძელებას, ირაკლი ღლონტს კი ნაციონალების აგენტს უწოდებენ.
ისეთმა ვერსიებმაც გაიჟღერა, თითქოს მისი ორგანიზაცია თავიდან ბიძინა ივანიშვილის ფულით ფინანსდებოდა. ღლონტი ფართო საზოგადოებამ წლების წინ ნაციონალების პროექტით გაიცნო, ამის მერე მან რამდენიმე საჯარო სამსახურში იმუშავა და მოგვიანებით, „ოცნებიდან" ქვემო ქართლის სამთავრობო სამმართველოს უფროსობის შემოთავაზებაც მიიღო. დღეს კვლავ ნაციონალებთან აიგივებენ და აცხადებენ, რომ მისი „დავალება" კახა კუკავას პარტიასთან დამეგობრება და, მასთან ერთად, ივანიშვილის წინააღმდეგ აქციების ჩატარებაა. ვინ არის და ვისგან ფინანსდება ირაკლი ღლონტი — „ვერსიის" კითხვებს „ახალგაზრდა რეფორმატრების" ლიდერი პასუხობს და საინტერესო განცხადებებსაც აკეთებს.**

— ჩვენს აქციას, რომელიც 4 მარტს ჩავატარეთ, 21 მარტის აქციასთან არავითარი კავშირი არ აქვს. მინდა, აქციაზე მომხდარ ინციდენტსაც გამოვეხმაურო, რადგან ჟურნალისტზე თავდასხმა ჩვენთვისაც სერიოზული დარტყმა იყო. მომხდარმა შემაძრწუნა, რადგან ეს ძალადობის საშინელი ფაქტი იყო, რაც დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პარტიის წევრები ამ კონფლიქტში არ მონაწილეობდნენ, ბოდიშს ვუხდი ჟურნალისტს. რაც შეეხება ჩვენს პარტიას, რატომღაც, საზოგადოება 15 ნოემბრის აქციაზეც გველოდა, თუმცა ნაციონალებთან შეხების წერტილი არ გვაქვს. ამ ხმების გავრცელებას სპეცსამსახურების თანამშრომლები ცდილობენ. დაფუძნების დღიდან ნაციონალებთან ჩვენი დაკავშირების მიზეზი ალბათ ისაა, რომ პოლიტიკურ ველზე ახალი სახეების შემოსვლა არ სურთ. მეტიც, ისიც ითქვა, რომ ჩვენი ორგანიზაცია ივანიშვილის ფულით ფინანსდებოდა. ამას სხვას ვერაფერს დავარქმევ, თუ არა მიზანმიმართულ ბრძოლას ახალი სახეების წინააღმდეგ.

**— ამ მითქმა-მოთქმის დასაწყისი ნაციონალების მიერ მოწყობილი საპარლამენტო პროექტი ხომ არ არის, რომელშიც წლების წინ გაიმარჯვეთ?**

— ეს პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის იდეა იყო და პოლიტიკური პროექტი სულაც არ გახლდათ. ეს იყო ვირტუალური არჩევნები, რომელშიც მეუღლისა და მეგობრების თხოვნით მივიღე მონაწილეობა და გავიმარჯვე. მერე გავიგე, ნაციონალებს სხვა კანდიდატი ჰყოლიათ. ალბათ, ჩემს წინააღმდეგ სუს-მა სხვა ვერაფერი იპოვა. ეს საკითხი სალაპარაკო როდემდე უნდა იყოს?! ე.წ. დიდ პოლიტიკაში სხვადასხვა პარტიებიდან და მათი ახალგაზრდულებიდან იმდენი სახეა, მათზე რატომ არავინ არაფერს ამბობს? რა თქმა უნდა, „ოცნებასა" და ნაციონალებს, ამ ორ ოდიოზურ ძალას, ახალი სახეების გამოჩენა არ აწყობთ, მაგრამ ეს ჩემი პრობლემა არაა. ქუჩიდან არ მოვსულვარ, ოჯახიდან გამოვედი, ცნობილი სასწავლებლიდან, ჩემი პროფესორები გეტყვიან, ვინ არის ირაკლი ღლონტი, ვინ იყო საკრებულოში, ეკონომიკის სამინისტროში, მერიაში, ცესკო-ში. კარგი იქნება, მედია ჩემი წარსულით მართლა დაინტერესდეს. თუ ვინმე დადებს კომპრომატს, რატომ არ მაქვს უფლება, ქართულ პოლიტიკაში ვიყო, საერთოდ წავალ საქართველოდან, ამერიკაში, როგორც ჩემი ბევრი მეგობარი და იქ გავაგრძელებ კარიერას.

**— უკვე ამ ზომამდე მიხვედით?**

— უბრალოდ, გპასუხობთ, რადგან მეკითხებით. წინა ხელისუფლების დროს ვმუშაობდი და ეს ყოფილა კომპრომატი ჩემს წინააღმდეგ. ასეთი ბრალდებები ჩემთვის გაუგებარია.

**— „ოცნების" მიერ დაფინანსების შემდეგ, ითქვა, ნაციონალებმა გადაიბირესო. ბოლოს ახალი ვერსიაც გაჩნდა — კუკავასთან შეკვრა დაავალესო. ამ ხმებს ვინ ავრცელებს?**

— სისულელეა! გეტყვით, რომ „ოცნების" მაღალჩინოსნებისგან შემოთავაზება მივიღე — ერთ-ერთ რეგიონში სამთავრობო პრივატიზების სამხარეო სამმართველოს უფროსობა. თუმცა თავიდანვე ვატყობდი, ივანიშვილის გვერდით მდგომ ადამიანებთან ერთად ყოფნა არ მინდოდა, ამიტომ ოპოზიციაში წავედი. ვერ დაგიკონკრეტებთ, ეს ვინ შემომთავაზა. თბილისი პატარაა და საახლობლო „ოცნებაშიც" გვყავს, ნაციონალებშიც, დემოკრატებშიც და ყველგან. მაია მიმინოშვილის მსგავსად, მეც შემეძლო, მაისურები მეფრიალებინა და ბიძინა ივანიშვილის გვერდით დავმდგარიყავი, მაგრამ ეს არ გავაკეთე, რადგან მიმაჩნია, ამის დრო ქართულ პოლიტიკაში აღარ არის. რაც შეეხება ბრალდებას, თითქოს დავალება მივიღე, კუკავას დავუახლოვდე, როგორც ჩანს, დავალება თავად ამ იდეის ავტორებმა მიიღეს. როცა ასეთ რაღაცებს წერენ, მორალური თუ არა, საკანონმდებლო რეგულაციები და ჟურნალისტთა ქარტიის წესები მაინც გაიხსენონ! ეს სიბინძურეა და ჩემი აზრით, სპეცსამსახურების ან ნაციონალების დაკვეთაა. თუმცა ამაზე დავას არ ვაპირებ, რადგან ახლა დავა მხოლოდ „ოცნებასთან" მაქვს, რომელიც მარტო ნაციონალებთან აგრძელებს ურთიერთობას.

**— მაგრამ მაინც არის ლეგიტიმური კითხვა, ვინ აფინანსებს რეფორმატორებს — ახსენით ტაბუ ამ თემას, რა ფინანსები გაქვთ საერთოდ?**

— ეს არსად არასოდეს მითქვამს — რამდენი თვეა, რეფორმატორებს ოფისიც არ გვაქვს.

**— აბა, ამ აქციებს სად გეგმავთ?**

— ჩვენს სახლებში, სამეგობროს ნათხოვარ ოფისებში. შეიძლება ეს არც უნდა მეთქვა, მაგრამ რეალურად, ასე ვმუშაობთ. ჩვენს პარტიაში მილიარდერები არ არიან. აქციების დაფინანსება საკუთარი ჯიბიდან გვიწევს. წარმოიდგინეთ, 30 ავტომობილის გადაადგილებას ერთ აქციაზე რამხელა თანხა სჭირდება. ამისთვის სესხების აღებაც გვიწევს. არ მინდა, ჩვენი ფინანსური პრობლემები ვინმეს თავზე მოვახვიო, მაგრამ რადგან კითხვები არსებობს, ხალხმა სიმართლეც უნდა იცოდეს.

**— ისე, როგორ ფიქრობთ, აქცენტი კახა კუკავასა და გოჩა ჯოჯუაზე რატომ კეთდება, როცა ნაციონალების „კუდებზე" საუბრობენ და თქვენს ძალას სხვა ოპოზიციურ პარტიებთან თუ აქვს საერთო?**

— კუკავასთან კოალიციაში კი არ ვართ, უბრალოდ, კონკრეტული გადაკვეთის წერტილები ვიპოვეთ. კუკავას ნაციონალების სატელიტად არ მოვიაზრებ, მთელი ამ წლების განმავლობაში რაც კუკავას თავში მოხვედრია, სხვას ვის უნახავს ამდენი? საგანელიძეები და მისი მსგავსნი რომ არიან „ოცნებაში", ისინი გაცილებით დაახლოებულნი იყვნენ ნაციონალებთან, ვიდრე კუკავა და ხალხი ჯერ არ დაბრმავებულა. თანაც, როცა ოპოზიცია პრეზიდენტს შეხვდა, ჯონდისთან, პატრიოტთა ალიანსსა და სხვებთან ერთად ვიყავი.

**— კი მაგრამ, სწორედ ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ 4 მარტს აქცია ნაციონალების დაკვეთით ჩატარდა და ველარ გავიგე, ვინ ვისი ოპოზიციაა!**

— სამწუხაროდ, ოპოზიცია, რომელიც მხოლოდ ფულსა და საკუთარ კეთილდღეობაზეა ორიენტირებული, ჩემთან ერთად ვერ იქნება. ჯერჯერობით, მხოლოდ ამ კომენტარს გავაკეთებ, თუმცა უფრო ვრცლად საუბრის დროც მოვა. ახლა ქვეყნის ანტიკრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის გეგმაა დასამუშავებელი. ამ ვითარების განმუხტვის შემდეგ ჯონდიც, „ოცნებაცა" და სხვებიც სხვა ასპარეზზეც მიხილავენ და საზოგადოება თავად გადაწყვეტს, ვის გაყვეს.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, გიორგი ქადაგიძეს ვადა 2016 წელს ეწურება. ქართული ოცნების წარმომადგენლები ვერ ითმენენ და ერთი წლით ადრე, ლარის კურსის გაუფასურების გამო, ქადაგიძის წინააღმდეგ ღია შეტევებს არ ერიდებიან. ეს პროცესი ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა წამოიწყო, მხარი კი პარლამენტის წევრებმა აუბეს. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი დავით ლორთქიფანიძე ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში პირდაპირ აცხადებს, რომ პარლამენტი გიორგი ქადაგიძის ანგარიშს ჩააგდებს და იმპიჩმენტის პროცედურას დაიწყებს.**

# რატომ ვერ მოუწყობენ გიორგი ქადაგიძეს იმპიჩმენტს



## საქართველოს ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტების სკანდალური ისტორიები და მსოფლიოში ყველაზე მკაცრი კანონი ეროვნული ბანკის შესახებ

### საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით. კონსტიტუციის 95-ე და 96-ე მუხლების შესაბამისად, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით, რომელიც 1995 წლის 23 ივნისს მიიღეს. 2006 წლიდან, „საქართველოს ორგანულ კანონში ეროვნული ბანკის შესახებ" დაიწყო რეფორმა, რომელიც 2009 წელს დასრულდა.

ორგანული კანონი ანიჭებს დამოუკიდებლობას ცენტრალურ ბანკს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებისას: **„ეროვნული ბანკი თავისუფალია აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი ჩარევისაგან მის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე, რომელიც ყოველწლიურად ამტკიცებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს".**

„საქართველოს ორგანულ კანონში ეროვნული ბანკის შესახებ", 2009 წლის 12 იანვარს განხორციელებული ცვლილებებით, საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში – ეროვნული ბანკი) არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი: **„ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ ორგანული კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებს. ეროვნულ ბანკს აფუძნებს საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. მისი ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. მან უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას. ეროვნული ბანკის ფუნქციებია: შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად; განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა; უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება; ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები; იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სხვა ორგანოებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ მის საქმიანობაში ან განახორციელონ მონიტორინგი, გარდა საქართველოს კონსტიტუციითა და ამ ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა".**

ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომელიც შედგება შვიდი წევრისგან. საბჭოს წევრები არიან საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროფესიონალები ეკონომიკის ან/და ფინანსების დარგში, რომლებიც პატიოსნებით გამოირჩევიან. ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარე ეროვნული ბანკის პრეზიდენტია: **„ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, საქართველოს პარლამენტი, პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 7 წლის ვადით ირჩევს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს — ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებს – ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი თანამდებობიდან გათავისუფლდება, თუ: იგი აღარ არის ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი; მან დაკარგა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობის დაკავების უფლება ამ ორგანული კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად (მე-13 მუხლით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, გარდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტებისა, იმავდროულად არ შეიძლება იყოს საჯარო მოსამსახურე, იურიდიული პირის ხელმძღვანელი, საქართველოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლის ან მასთან დაკავშირებული იურიდიული პირის თანამშრომელი; ეროვნული ბანკის საბჭოს წევრს და მისი ოჯახის წევრებს არა აქვთ უფლება, იყვნენ საქართველოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლის ან მასთან დაკავშირებული იურიდიული პირის პარტნიორი); თუ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობის გამო; თუ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გარდაიცვალა".**

### ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტები

თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკი შეიქმნა 1991 წელს, საბჭოთა კავშირის (სსრკ) დაშლის შემდეგ, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა, მათ შორის სახელმწიფო ბანკი, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი. თუმცა პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919-1921 წლებში ფუნქციონირებდა და მისი პირველი პრეზიდენტი 1920 წლის ივლისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე, იასონ ლორთქიფანიძე იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1991 წლის ოქტომბრიდან 1992 წლის იანვრამდე, პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ეროვნულ ბანკს გია თოფურია ხელმძღვანელობდა. მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაემხო და ქვეყნის სათავეში დროებითი მთავრობა მოვიდა, ეს პროცესი ეროვნულ ბანკზეც თავისებურად (უარყოფითად) აისახა, რადგან 1992 წლის იანვრიდან იმავე წლის მარტამდე, ქვეყნის მთავარ ბანკს ვაჟა ჯინჯიხაძე ჩაუდგა სათავეში. ამის შემდეგ, 7 თვე, 1992 წლის აპრილიდან 1992 ნოემბრამდე — ეროვნულ ბანკს ნოდარ კაკულია ხელმძღვანელობდა; 1992 წლის ნოემბრიდან 1993 წლის ოქტომბრამდე — დემურ დვალიშვილი; 1993 წლის ოქტომბრიდან 1998 წლის მარტამდე — ნოდარ ჯავახიშვილი; 1998 წლის მარტიდან 2005 წლის მარტამდე — ირაკლი მანაგაძე; 2005 წლის მარტიდან 2007 წლის ოქტომბრამდე — რომან გოცირიძე; 2007 წლის ნოემბრიდან 2009 წლის თებერვლამდე — ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი, დავით ამაღლობელი ასრულებდა, ხოლო 2009 წლის თებერვლიდან დღემდე — ქვეყნის მთავარ ბანკს გიორგი ქადაგიძე ხელმძღვანელობს.

ამ ხნის მანძილზე, სამივე ხელისუფლების — ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილისა და მარგველაშვილ-ღარიბაშვილის მმართველობის პირობებში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტები მუდმივად იგერიებდნენ მთავრობის ცალკეული წევრების შემოტევებს. თუმცა ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტის პრეცედენტი არ ყოფილა. კონფიდენციალური და კარგად ინფორმირებული წყაროს საშუალებით, „ვერსია" ეროვნული ბანკის პრეზიდენტებთან დაკავშირებულ სკანდალურ ფაქტებს გთავაზობთ.

წყაროს ინფორმაციით, მთავარი ინტრიგა მაშინ დაიწყო, როდესაც დროებითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოში არჩევნები ჩატარდა და მოსახლეობამ პრეზიდენტად ედუარდ შევარდნაძე აირჩია, რომელმაც 1992 წლის ნოემბერში ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დემურ დვალიშვილი წარადგინა. წყარო გვიამბობს, რომ შევარდნაძის დავალებითა და ხელშეწყობით, მაშინდელმა ქართულმა ელიტამ (დეპუტატები, მწერლები, მსახიობები, რეჟისორები, პარტიული თუ სხვა მეგობრები და ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები) ეროვნული ბანკის კრედიტების მითვისება დაიწყო. ამ პროცესს რატომღაც, „ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას" უწოდებდნენ. ასეთმა განუკითხაობამ არსებითად განაპირობა პირველი ეროვნული ვალუტის — კუპონის გაუფასურება და რამდენიმეათასპროცენტიანი ინფლაცია. წყაროს ინფორმაციით, ეს ამბავი იმდენად რეზონანსული იყო, რომ მიუხედავად შევარდნაძის მფარველობისა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დემურ დვალიშვილი გაათავისუფლეს. მეტიც, დვალიშვილი შს სამინისტროში დაკითხვაზე დაიბარეს და, როდესაც გამომძიებელმა ჰკითხა, ვინ ლობირებდა ეროვნული ბანკიდან სესხების გატანას, უპასუხა, რომ ზეპირად არ ახსოვს. თუმცა ყველა მომსვლელის, კრედიტისა და სესხის ოდენობას, ასევე მათი რეკომენდატორების ვინაობას მისი მდივანი ჟურნალში იწერდა. წყარო გვიამბობს, დემურ დვალიშვილმა დაკითხვის პროცესში დაურეკა მდივანს, რომელსაც ეს ჟურნალი მიატანინა. გამომძიებელმა გადაათვალიერა და დვალიშვილს განუცხადა, დაკითხვა დამთავრდა და თავისუფალი ხართო. ჟურნალი ნივთმტკიცებად დაიტოვეს. დაკითხვიდან გამოსულმა დემურ დვალიშვილმა შსს-ს შენობაში, დერეფანში მოიკლა თავი... წყაროს ინფორმაციით, ჩანს, დვალიშვილმა გააცნობიერა, რომ შევარდნაძის ელიტა გასცა, ხოლო სკანდალური ჟურნალი გამომძიებლებს ჩაუგდო ხელთ და სავარაუდოდ, თავიც ამიტომ მოიკლა. სამწუხაროდ, დვალიშვილის სკანდალური ჟურნალი და ჩანაწერები გაქრა, ხოლო ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თვითმკვლელობისა თუ მკვლელობის (ვრცელდებოდა ვერსია, რომ დვალიშვილი პოლიციელებმა მოკლეს) საქმე არც ერთმა ხელისუფლებამ არ გამოიძია.

1993 წლის ოქტომბრიდან, ედუარდ შევარდნაძის გადაწყვეტილებით, პარლამენტმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ნოდარ ჯავახიშვილი დაამტკიცა, რომელიც იმ პერიოდში ბინსოცბანკის პატარა ფილიალის მმართველი იყო. ჯავახიშვილს რეკომენდაცია გაუწია მისმა მეგობარმა და კავკასიის ბირჟის მაშინდელმა დამფუძნებელმა, ამირან ქადაგიშვილმა. უფრო ადრე, ვიდრე კავკასიის ბირჟას დააფუძნებდა, ქადაგიშვილი ვიცე-პრემიერი იყო, რომელმაც ამ პოსტზე რომან გოცირიძე შეცვალა. ნოდარ ჯავახიშვილი ეროვნულ ბანკს სათავეში იმ დროს ჩაუდგა, როდესაც ქვეყანაში მრავალათასპროცენტიანი ინფლაცია მძვინვარებდა, თბილისის ქუჩებში კი კუპონები ეყარა. სწორედ ამ დროს, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ) გაკოტრებულ საქართველოს პირველი ტრანში — 27 000 000 აშშ დოლარი გამოუყო. რეალურად, ეს იყო ეროვნული ბანკის პირველი რეზერვი უცხოურ ვალუტაში, რამაც საფუძველი ჩაუყარა პირველი ეროვნული ვალუტის — ლარის შემოღებას. ამავე პერიოდში, სსფ-ს რეკომენდაციით, თითქმის ახლიდან დაიწერა 1995 წელს მიღებული ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ. ამ კანონის მიხედვით, რომელიც ნოდარ ჯავახიშვილმა სსფ-ს რეკომენდაციით შეიმუშავა, ეროვნულმა ბანკმა განიმტკიცა უზარმაზარი ძალაუფლება, როგორც დამოუკიდებელმა ინსტიტუტმა, ხოლო ეროვნული ბანკის პრეზიდენტს მიენიჭა დიდი ძალაუფლება. სსფ-მ ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ ის საშინელება, რაც დემურ დვალიშვილის პერიოდში დატრიალდა, ეროვნულ ბანკში აღარ განმეორებულიყო. წყარო გვიამბობს, რომ ქართული ელიტის მაშინდელი „ვარსკვლავები" და თუნდაც „კრიმინალური ავტორიტეტები", რომლებიც იმ ავადსახსენებელ სიაში იყვნენ დასახელებულები, უბოდიშოდ აღებდნენ დვალიშვილის კარს და გაჰქონდათ სესხები. სხვათა შორის, პირველი მილიონერებიც სწორედ ასე გაჩნდნენ...

ამის მიუხედავად, სკანდალური თავდასხმები არც ნოდარ ჯავახიშვილს აკლდა, რომელსაც სახალხო პარტია და მისი თავმჯდომარე, მამუკა გიორგაძე დაუპირისპირდა. წყარო გვიამბობს, რომ 1997 წელს, სახალხო პარტიის ინციატივით, 380-გვერდიანი წიგნი დაბეჭდეს, სადაც ნოდარ ჯავახიშვილი კორუფციულ საქმიანობაში ამხილეს. ამას დაემატა კონტროლის პალატის (ახლანდელი სახელმწიფო აუდიტის სამსახური) ბრალდებებიც, რომელსაც იმ პერიოდში რევაზ შავიშვილი ხელმძღვანელობდა. 1998 წელს, ვითარება დაიძაბა და იმდენად გართულდა, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე ჯავახიშვილის კანდიდატურა შევარდნაძემ მეორედ წარადგინა, მაგრამ პარლამენტმა მხარი აღარ დაუჭირა.

1998 წლიდან ეროვნული ბანკის პრეზიდენტად შევარდნაძემ ირაკლი მანაგაძე წარუდგინა პარლამენტს. ის მაშინდელი ვიცე-პრემიერის, თემურ ბასილიას პროტეჟედ ითვლებოდა, რადგან შევარდნაძესთან რეკომენდაცია სწორედ ბასილიამ გაუწია. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, ყოფილი ვიცე-პრემიერის თემურ ბასილიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, ბასილიამ მოასწრო და აშშ-ს შეაფარა თავი. სხვათა შორის, იგი დღემდე ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნება. მიუხედავად იმისა, რომ მანაგაძე ბასილიას „კაცად" ითვლებოდა, ხოლო სააკაშვილის ხელისუფლება განსაკუთრებული შეუწყნარებლობით გამოირჩეოდა შევარდნაძის დროინდელი კორუმპირებული ჩინოვნიკების მიმართ, მანაგაძის იმპიჩმენტს ყველა მოერიდა. მეტიც, „ვარდოსნებმა" მას, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ვადის ამოწურვა აცალეს და ერთი წელი თანამდებობაზე „დატოვეს" (სხვათა შორის, გიორგი ქადაგიძესაც ზუსტად ერთი წელი რჩება ვადის ამოწურვამდე). წყაროს ინფორმაციით, სააკაშვილი და მისი ხელისუფლება სსფ-სა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების „რისხვას" მოერიდა.

2005 წლის მარტში, სააკაშვილმა პარლამენტს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად რომან გოცირიძის კანდიდატურა წარუდგინა. სკანდალებს ვერც გოცირიძე გადაურჩა. წყაროს ინფორმაციით, ის ეროვნული ბანკის ერთადერთი პრეზიდენტი იყო, რომელმაც თანამდებობა საკუთარი სურვილით, განცხადების საფუძველზე დატოვა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გოცირიძეს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, ზურაბ ნოღაიდელი დაუპირისპირდა. იმ პერიოდში, ზურაბ ნოღაიდელის „ხელში" იყო ფინანსთა სამინისტრო, ფინანსური პოლიცია, საბაჟო, საგადასახადო, ხაზინა, ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროები, მოკლედ, მთელი ეკონომიკა. წყაროს ინფორმაციით, ნოღაიდელმა კომერციული ბანკების გაკონტროლება და ეროვნულ ბანკში უხეშად ჩარევაც გადაწყვიტა, რის გამოც გოცირიძემ კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია. ნოღაიდელის ინტრიგას თავიდან პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემაც აუბა მხარი, მაგრამ, როდესაც ნოღაიდელის რეკომენდაციით, სააკაშვილმა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად ლექსო ალექსიშვილის (ჯერ ფინანსთა მინისტრის მოადგილე, მოგვიანებით ეკონომიკის მინისტრი) კანდიდატურა წარადგინა, ბურჯანაძე სააკაშვილს კაბინეტში შეუვარდა ყვირილით: — ვინ არის ზურა, ამდენ უფლებას როგორ აძლევო? იმ დროს, სააკაშვილი ბურჯანაძეს ენდობოდა, „თამარ მეფეს" და „მარგარეტ ტეტჩერს" ადარებდა და ამიტომ ანგარიში გაუწია. მოკლედ, ნინო ბურჯანაძემ თავისი გაიტანა და პარლამენტმა ალექსიშვილის კანდიდატურა ჩააგდო.

2006 წელს, სახელმწიფო მინისტრმა რეფორმების საკითხებში, კახა ბენდუქიძემ ეროვნული ბანკის რეფორმა გადაწყვიტა. წყაროს ინფორმაციით, ვინაიდან ნოღაიდელმა გოცირიძეზე ზემოქმედება ვერ შეძლო, შემოვლითი გზა აირჩია, რათა ეროვნული ბანკი დაენგრია. ასეთი მიზანი კი მაშინ მხოლოდ კახა ბენდუქიძეს ჰქონდა, რომელმაც ეროვნული ბანკის ნგრევა გადაწყვიტა, რადგან რეფორმის მიხედვით, ეროვნულ ბანკს საბანკო ზედამხედველობა უნდა გამოჰყოფოდა და ცალკე სააგენტოდ ჩამოყალიბებულიყო.

*დასასრული მე-6 გვერდზე*



# ალეკო ელისაშვილი დავით ნარმანიას საკრებულოში დასაბარებლად ხელმოწერებს აგროვებს

## რა შემთხვევაში მოითხოვს დეპუტატი ნარმანიას გადაყენებასა და თბილისის მერის ვადამდელი არჩევნების ჩატარებას!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**5 მარტს, მთავრობის სხდომაზე პრემიერმა ზოგიერთი გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა არ გამორიცხა... ამასობაში, მერიაში პოსტი კიდევ ორმა ჩინოვნიკმა, მათ შორის, ადმინისტრაციის უფროსმაც დატოვა. საკრებულო კი, რომელიც მერიის მაკონტროლებელი უნდა იყოს, მის „გამპრავებელ" ბიუროდ იქცა. დამოუკიდებელი დეპუტატი ალექსანდრე ელისაშვილი „ვერსიასთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში თბილისის მერიასა და საკრებულოში მიმდინარე მოვლენებზე საკმაოდ მკვეთრ განცხადებებსაც აკეთებს.**

— ცოტა ხანში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" საკრებულოს მიერ შეძენილი ძვირადღირებული ნივთების სიას გამოაქვეყნებს. მათ შორისაა 1760-ლარიანი პუფი, 508-ლარიანი კედლის საათი, რომელიც ადმინისტრაციის უფროსს უკიდია კაბინეტში, ბინოკლი, თავისი სადგამით... ამ დროს, მერიაში ისეთი რამ ხდება, რაზეც პასუხი ვერ მიპოვია. სწორედ ამ პასუხების მისაღებად ვაგროვებ ხელმოწერებს. რეგლამენტით, სულ 13 დეპუტატი მჭირდება, რომ დავით ნარმანია საკრებულოში ანგარიშის მოსასმენად დავიბარო. უკვე 9 ხელმოწერა მაქვს. დანარჩენსაც ველოდები. ჯოკია ბოდოკიას ამბავი პირველი არ ყოფილა, ამბობდნენ, მერიაში დახლია ჩადგმული და აღებ-მიცემობა აქვთ გაჩაღებულიო. დღესაც მესმის მსგავსი ფაქტები. ვერ დავასაბუთებ, მაგრამ მჯერა, რადგან ამ ინფორმაციას პატივსაცემი ხალხი მაწვდის. მერიაში აღებ-მიცემობა პირდაპირ კაბინეტებში მიდის. ყველა ამ კითხვის პირდაპირი ადრესატი დავით ნარმანიაა. მან კი უცნაური განცხადება გააკეთა — მე რა შუაში ვარ გამგეობებთანო. ეტყობა, ჯერ ვერ გაუგია, რომ მერს საბურთალოს რომელიღაც მოხელეზეცა და მერიის ყველა თანამშრომელზეც პირდაპირი პასუხისმგებლობა აქვს. რამდენიმე დეპუტატი, რეგლამენტის მიხედვით, რიგგარეშე სხდომის მოწვევას ვაპირებთ. ცუდია, რომ კითხვები უმრავლესობის წევრებს არ უჩნდებათ.

**— რიგგარეშე სხდომის მოწვევის საკითხი უკვე ორჯერ დააყენეთ — რას გპასუხობთ „ოცნება"?**

— სამწუხაროდ, „ოცნება" ნაციონალების პრაქტიკას აგრძელებს და თავს იტყუებს, თითქოს არაფერი ხდება. საქმეს სწორედ ეს ვითომ ერთპარტიულობა აფუჭებს. ინდივიდუალურ საუბრებში, „ოცნების" დეპუტატებიც ჯუჯღუნებენ, რადგან რეალობას ხედავენ. ამბობენ, რა ვქნათო. ჩემს ინიციატივაზე ხელმომწერთა შორის, „ოცნების" არც ერთი წარმომადგენელი არ არის, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს.

**— სამაგიეროდ, ნარმანიას დაბარებას ნაციონალები ხელს სიამოვნებით მოაწერდნენ. არ ფიქრობთ, რომ შესაძლოა ითქვას, შეკრულები არიან და „ოცნებას" პროვოკაციას უწყობენო?**

— სულ არ მადარდებს! ეს ჩემი ინიციატივაა. ბოლოსბოლო, ის მაინც უნდა გავიგოთ, ამ რვა თვეში, ნარმანიამ რა გააკეთა. მერისთვის თავად უმრავლესობას უნდა დაეძახა. ბოდოკიას მერე, მეორე კაციც დააკავეს, ხვალ მესამეს დააკავებენ და რა მოხდება, ღმერთმა უწყის. უმრავლესობა კი, გაიტრუნა. ამიტომ დავიწყე ხელმოწერების შეგროვება. ნაციონალებმაც მოაწერეს ხელი. რა მეთქვა, არ მოაწეროთ-თქო? დღეს კიდევ 4 ხელმოწერა მექნება, თავისუფალი დემოკრატებისგან — ასე რომ, ნარმანიას მაინც დავიბარებთ.

**— მერიაზე ზეწოლის რა მექანიზმები აქვს საკრებულოს? რა მოხდება, თუ ნარმანია არ მოვა?**

— მერის არათუ დაბარება, არამედ საკრებულოს ორ მესამედს მისი გადაყენებაც შეუძლია.

**— ამისთვის „ოცნების" ხმებია საჭირო, რაც არ გექნებათ.**

— რატომაც არა, თუკი ივანიშვილი „ოცნებას" ეტყვის, ნარმანია გადააყენეთო?! ახალი კოდექსით, 13 ხმის არსებობის შემთხვევაში, მერი ვალდებულია, საკრებულოში გამოცხადდეს. ეს იქეთ კვირას მოხდება. შემდეგ ვიცე-მერებისა და სამსახურების უფროსებსაც დავიბარებთ.

**— ექსვიცემერ მარგიშვილზე იქნებ თქვენ უფრო მეტი იცით, ვიდრე საზოგადოებამ: ვისი კადრია და რა დამსახურებისთვის ჩააბარეს ჯერ კულტურის სამინისტროს, შემდეგ მერიის მეორეკაცობა, დღეს კი ჩუმად მოხსნეს და სპეციალურად მისთვის შექმნილ სამსახურში გადაიყვანეს?**

— ამ კითხვაზე პასუხი მეც არ მაქვს. რამდენადაც ვიცნობ, ეს კაცი არაფრის „გარტყმაში" არ არის. ჯერ კულტურის სამინისტროში იყო მინისტრის პირველი მოადგილე და ვერ ხვდებოდა, არადა, ყველაზე დიდი ხელფასი ჰქონდა. პრემიერი ივანიშვილი ამბობდა, კულტურის სამინისტრო მაჩანჩალააო. მერე, ამ ჩამორჩენილი სამინისტროდან ეს კაცი მერის პირველ მოადგილედ გადაიყვანეს. ეტყობა, მარგიშვილს რაღაც ფარული უნარი აქვს, რომელიც ჯერ ვერ დავინახე. სირცხვილია, აქეთ-იქეთ რომ დაატარებენ. სხვათა შორის, თბილისის მეწარმოების ცენტრი შეუქმნეს, რომელზეც „ოცნება" ამბობდა, ვაიმე, ამას რას „გვაქმნევინებენო", მაგრამ საკრებულოში ხმა მაინც მისცეს. ეს კაცი ერთი უნიჭო, უპასუხისმგებლო ჩინოვნიკია და, რეალურად, იქ „ოდეერის" ფუნქციას ასრულებდა, ნარმანიას აკონტროლებდა, რამე ზედმეტი არ მოსვლოდა. ნარმანიას მიმართ სენტიმენტები შემომრჩა.

**— რატომ, რა სენტიმენტები?**

— მჯერა, წესიერი კაცია და ფულში ხელს არ აფათურებს, მაგრამ ნდობის სულ რაღაც 3-4% დამრჩა. პოლიტიკურად და მორალურად თბილისის მერობისთვის მზად არ იყო, ამიტომ მართვის სადავეები ხელიდან თითქმის სრულად გაექცა. ისედაც აკონტროლებდნენ მარგიშვილის მეშვეობით, ახლა, ჩანს, ივანიშვილი გააკონტროლებს, რომელმაც მარგიშვილის ნაცვლად, ვიცე-მერად მერიაში თავისი კაცი, ქუმსიშვილი უნდა დანიშნოს, როგორც ინფრასტრუქტურის სამინისტროში ჯავახიშვილის მიყვანით გააკეთა. ივანიშვილმა ერთ დღეს გაიღვიძა და დაინახა, რომ მთელი საქართველო კორუფციაში იხრჩობოდა, ამიტომ ჯანყარაშვილები და ჩხენკელები თავისი ხალხით შეცვალა. ასე მოხდა მერიაშიც, მაგრამ საქმეს მარტო ეს მოქმედებები არ უშველის, რადგან ქალაქის არჩეულ მერს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებაც უნდა შეეძლოს.

**— მეჩვენება, თუ ნარმანიას ცოდვები ჩამორეცხეთ?**

— არა, პირიქით, მას მართვის სადავეები გაექცა და არ მინდა, უბრალოდ, მერის სავარძლის შემავსებლად იქცეს. ნარმანიას კიდევ აქვს შანსი, შეასრულოს თავისი ფუნქცია, მიხვდეს, რომ ხალხის მიერაა არჩეული და არა ივანიშვილის დანიშნული.

**— რა კითხვებს დაუსვამთ მერს რიგგარეშე სხდომაზე?**

— 1. „სიტი პარკს" დანებდა და კაპიტულაციას უცხადებს თუ საბრძოლველად მზადაა? 2. რა ხდება საკადრო გადაწყვეტილებებზე, რატომ დანიშნა მარგიშვილი, ან მერე რატომ მოხსნა? 3. რატომაა ეს ქალაქი ორმოებით სავსე? 4. საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემა რატომ არ წესრიგდება? 5. რა გააკეთა ამ 8 თვეში და საერთოდ, რამე გეგმა თუ აქვს?

**— საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, ჩვენ რომ მოვედით, ბიუჯეტის 70-80% ამოწურული იყო, განსაკუთრებით საბურთალოსა და სხვა ცენტრალურ უბნებში, ამიტომ ახალი სკვერების აშენებისა და ფუფუნების საშუალება არ გვაქვსო.**

— თბილისის მერიამ 110 მლნ ლარი ვერ დახარჯა და მას ეს თანხა ჩამოეჭრა. ეს 2014 წლის დეკემბრის ამბავია და ზღაპარს არ ვყვები.

**— ამ კითხვებზე პასუხს თუ ვერ მიიღებთ, რა იქნება საკრებულოს შემდეგი ნაბიჯი — დავით ნარმანიას გადაყენება?**

— მთავარი ძალა ხალხია. ეს უთავბოლობა მალე უნდა დასრულდეს, თანაც, თბილისზე ვსაუბრობთ, სადაც პროცესები ძალიან სწრაფად ვითარდება-ხოლმე. ორმოებსაც ყველა კარგად ხედავს, „სიტი პარკის" თავხედობასა და ბევრ სხვა პრობლემასაც და არავის ეგონოს, რომ ხალხი მხოლოდ გიგი უგულავას გაშვებით 4 წელი იქნება კმაყოფილი. ადამიანები ყოველ ნაბიჯზე მაჩერებენ და მეუბნებიან, ეს რა უბედურება ხდება, რაღაც მაინც გააკეთონო. საკრებულო კი დღეს თბილისის პრობლემების ადეკვატური არ არის, მისი დღის წესრიგი და რეალური პრობლემები ერთმანეთისგან შორსაა. სინამდვილეში, ეს „წიკუჩკების", მიმდინარე საკითხების საკრებულოა — მერიიდან მოდის შაბლონური პროექტები და აქ ბეჭედს ურტყამენ. არცერთ არსებით პრობლემაზე განხილვა არ ყოფილა. როცა „ოცნების" დეპუტატების სიას ადგენდნენ, შედეგებზე მაშინ უნდა ეფიქრათ. ვფიქრობ, გამოსავალი ვადამდელი არჩევნები იქნება.

**— საეჭვოა, ვინმემ თვითმმართველობის რიგგარეშე არჩევნები მოითხოვოს, ახლა ყველა პარლამენტზეა გადართული.**

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგება! არ მინდა, საქმე ნარმანიას გადაყენებამდე მივიდეს, მაგრამ მის გულშემატკივრად ვერ დავრჩები, როცა ვხედავ, რომ დედაქალაქი თავზე გვემხობა. ახალმა ხელისუფლებამ ამ 8 თვეში, არათუ რამე უკეთესობისკენ შეცვალა, არამედ რაც დახვდათ, იმის სწორ მენეჯმენტსაც ვერ ახერხებენ. ეს ქვეყანა კი საფლავში არავის ჩაყვება, ამიტომ „ოცნება" გონს თუ არ მოეგება, თავისივე ხელით გაითხრის პოლიტიკურ სამარეს.

# რატომ ვერ მოუწყობენ გიორგი ქადაგიძეს იმპიჩმენტს

*მე-5 გვერდიდან*

მეტიც, კახა ბენდუქიძეს ეროვნული ბანკის გაუქმება და მის ნაცვლად, სავალუტო საბჭოს შექმნა უნდოდა, რომელიც მხოლოდ ჰონგ-კონგსა და მსოფლიოს ორ ქვეყანაში არსებობს. მეტიც, კახა ბენდუქიძეს ეროვნული ვალუტის — ლარის გაუქმებაც სურდა და ოფიციალურად აცხადებდა კიდეც, რომ ქვეყანაში ან მულტივალუტური სისტემა უნდა იყოს, როდესაც მიმოქცევაში ერთდროულადაა ლარი, დოლარი და ევრო, თუ არადა, ლარი უნდა გაუქმდეს და მიმოქცევაში მხოლოდ დოლარი და ევრო დარჩესო. ასე იყო თუ ისე, ნოღაიდელის „პრაგმატული" და ბენდუქიძის „რეფორმატორული" ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა, რასაც ძალოვანებმაც აუბეს მხარი. წყაროს ინფორმაციით, მაშინდელ მთავარ პროკურორს, ზურაბ ადეიშვილს მხოლოდ რომან გოცირიძემ და სალომე ზურაბიშვილმა გაუწიეს წინააღმდეგობა, შესაბამისად, არც საგარეო საქმეთა სამინისტროში და არც ეროვნულ ბანკში ადეიშვილის „ოდეერები" არ შეუშვეს. ვინაიდან ეროვნული ბანკისა და მთავრობის დაპირისპირება ფულად-საკრედიტო პოლიტიკას გასცდა და ქვეყანას საფრთხე ექმნებოდა, რომან გოცირიძემ საკუთარი სურვილით დაწერა განცხადება და ეროვნული ბანკის პრეზიდენტობიდან გადადგა. შეთანხმების საფუძველზე, ის პრეზიდენტის მრჩევლად დაინიშნა ეკონომიკის საკითხებში და პარალელურად, ეკონომიკურ საბჭოსაც ხელმძღვანელობდა. მართალია, ერთი შეხედვით, სააკაშვილმა თავისი სიის მეხუთე ნომერი, რომან გოცირიძე არ დაიცვა და ნოღაიდელს გაუწია ანგარიში, რითაც ბენდუქიძემ ისარგებლა და რეფორმა განახორციელა, მაგრამ გოცირიძის გადადგომიდან სამ თვეში, სააკაშვილი ნოღაიდელის კადრებს დაერია. ჯერ ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ნოდარ ხადური გააგდო, მერე საბაჟოს მაშინდელი ხელმძღვანელი ზურაბ ანთელავა პირდაპირ კამერების წინ (პრეზიდენტისთვის შეუფერებელი და სამარცხვინო ტექსტით), სარფის საბაჟოზევე მოხსნა.

რომან გოცირიძის გადადგომიდან ორი წლის მანძილზე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი დავით ამაღლობელი ასრულებდა. 2009 წლიდან, ეროვნული ბანკის პრეზიდენტია გიორგი ქადაგიძე, რომელიც ზურაბ ადეიშვილის კადრად ითვლება, რადგან მთავარ პროკურატურაში ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო.

## ადეიშვილის კადრები ეროვნულ ბანკში

ზურაბ ნოღაიდელის გავლენები სააკაშვილის კარზე, ზურაბ ადეიშვილმა დაასუსტა. მოგვიანებით, როდესაც „ვარდოსნების" მთავრობას პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელი ჩამოშორდა, ეკონომიკური გავლენებით უკვე მთავარი პროკურორი, ზურაბ ადეიშვილი მოძლიერდა. ყველა სამინისტროში ადეიშვილის კადრებმა მოიყარეს თავი, განსაკუთრებით ფინანსთა, ეკონომიკის, ენერგეტიკის სამინისტროებში. მეტიც, ზურაბ ადეიშვილის კადრები ნელ-ნელა ეროვნულ ბანკშიც იყრიდნენ თავს. ვადის ამოწურვის შემდეგ, სხვადასხვა დროს, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებად სააკაშვილი ძირითადად ადეიშვილის კადრებს წარუდგენდა ხოლმე პარლამენტს. სხვათა შორის, მთავარი პროკურორის კადრები ეროვნულ ბანკში დღემდე შემორჩნენ.

ამჟამად, ეროვნული ბანკის საბჭო შვიდი წევრისგან შედგება, საბჭოს ამავე ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე თავმჯდომარეობს. საბჭოს წევრები არიან არჩილ მესტვირიშვილი, ოთარ ნადარაია, ლაშა ჯუღელი, ვაჟა ჯანყარაშვილი, ნიკოლოზ გონგლიაშვილი და ნიკოლოზ ყაველაშვილი. ქადაგიძის გარდა, ეროვნული ბანკის საბჭოს რამდენიმე წევრი ზურაბ ადეიშვილის კადრებად ითვლება. მაგალითად, ლაშა ჯუღელი ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი 2009 წლის დეკემბრიდანაა, მანამდე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი, მოგვიანებით კი 2007-2008 წლებში, როდესაც ნოღაიდელის გავლენა მთლიანად ადეიშვილმა ჩაანაცვლა, ჯუღელი ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილე იყო.

ვაჟა ჯანყარაშვილი ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროსაც მაღალ თანამდებობებს იკავებდა მაშინდელ გენერალურ პროკურატურაში. 2000-2003 წლებში კი პროკურორების პროკურორი იყო, რადგან ამ პერიოდში გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობა ეკავა. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად 2012 წელს სააკაშვილმა წარადგინა.

ნიკოლოზ გონგლიაშვილი საქართველოს გენერალური პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყო, 2012 წლიდან კი სააკაშვილის წარდგინებით, ის ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი გახდა.

## რას ნიშნავს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტი?

ეს სკანდალური ისტორიები იმას ადასტურებს, რომ ეროვნული ბანკი, როგორც ცენტრალური საფინანსო ინსტიტუტი, სხვადასხვა მთავრობის პირობებში, ყოველთვის თავდასხმის ობიექტი იყო. თუმცა ყველა მთავრობა ერიდებოდა სსფ-სა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სავარაუდო რისხვას, რის გამოც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს ღიად არასდროს სვამდნენ. საქართველოს ორგანული კანონით ეროვნული ბანკის შესახებ, ქვეყნის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტის იურიდიული პროცედურა გართულებული და თითქმის, შეუძლებელია. თვითონ თუ არ მოინდომა და გადადგომის შესახებ განცხადება საკუთარი სურვილით არ დაწერა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ვერავინ მოხსნის.

დავუშვათ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი სასამართლომ ქმედუუნაროდ, ანუ დამნაშავედ სცნო, იმპიჩმენტის პროცედურა მაინც ვერ დაიწყება, რადგან ამავდროულად, ის საბჭოს წევრად რჩება. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის გადაყენება შეიძლება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით: **„კონსტიტუციის დარღვევისას ან/და დანაშაულის ჩადენისათვის იმპიჩმენტის წესით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს".**

მეტიც, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ბანკი ერთადერთი დამოუკიდებელი ინსტიტუტია მთელ მსოფლიოში, რადგან სსფ-ს რეკომენდაციით, მხოლოდ საქართველოში მოქმედებს ისეთი ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ, რომლითაც, ცენტრალური ბანკის საბჭოს წევრები არ შეიძლება, პარალელურად, მინისტრები ან მათი მოადგილეები იყვნენ. რაც მთავარია, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტს სსფ და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები არ დაუშვებენ, რასაც ერთმნიშვნელოვნად მოჰყვება ტრანშების, კრედიტების, სესხების, ინვესტიციების შეწყვეტა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელის მარკ გრიფითსის განცხადებით, მცოცავი კურსის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის მხრიდან ინტერვენციები მიზანშეწონილი არ არის. მისი თქმით, ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის პატივისცემა აუცილებელია. კითხვაზე, როგორ აფასებს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრალდებას გიორგი ქადაგიძის მიმართ, მარკ გრიფითსი პასუხობს: **„მსგავსი დებატები აშშ-სა და დიდ ბრიტანეთშიც ხდება, ოღონდ ეს არის პრივატულ რეჟიმში და არ გამოდის საჯაროდ. საჯარო დისკუსიები ვნებს ქვეყნის იმიჯს. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებ ხელისუფლებას, ერთად იმუშაონ, დებატები გამართონ და ეს საკითხები ერთობლივი ძალისხმევით დაძლიონ".**

# როლანდ ახალაიას შურისძიება და ოჯახის 4 წევრი ციხეში

## თხილის ბიზნესის დასათმობად სამ ძმას „წამლის“ მოხმარება, დედას კი ბარიგობა „დაუმტკიცეს“



პატიმარი №0578

წინა ხელისუფლების დროს, საქართველო თითქოს რეგიონებად იყო დაყოფილი და გავლენების სფეროებიც ისე იყო გადანაწილებული, რომ სხვა ვერ, თუ არ ერეოდა. ზუგდიდი ახალაიების ოჯახის სათარეშო რომ იყო, ამას არავინ უარყოფს. თავად ახალაიებიც ამბობენ, რომ დღემდე აქვთ სამეგრელოს რეგიონზე გავლენა და მართალია, ისე ძლიერად არა, მაგრამ ქუჩაში, საჭირო დროს, საჭირო რაოდენობის ხალხის გამოყვანა აშკარად შეუძლიათ. ადგილობრივების უმრავლესობა ამ ფაქტს აკრიტიკებს. ამას კი, წინა ხელისუფლების პირობებში ერთეულები თუ ბედავდნენ. იმის გამო, რომ ახალაიების დედა სკოლის მასწავლებელი იყო, მის ხელში ზუგდიდელი ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა გაიარა და სხვათა შორის, სწორედ ეს დიდი ნაწილი მოხვდა შემდეგ ციხეში.

გელა შ. რუსთავის №17 დაწესებულებაში რომ მიიყვანეს, პირველი, რაც იკითხა, „ნაკოლკებს“ თუ აკეთებს აქ ვინმეო. რა თქმა უნდა, ზონას „ხუდოჟნიკი“ ჰყავდა და გელამ, პირველ რიგში, ცოლის სახელი ამოისვირინგა, შემდეგ ჯვარი, მერე თავის ქალა და რამდენიმე თვეში სხეული სულ მოიხატა. მერე, ინანა, ეს რა ჩავიდინეო და ისიც თქვა, აქედან რომ გავალ, მხოლოდ ცოლის სახელს დავიტოვებ, დანარჩენებს წავიშლიო. პატიმარმა №0578-მა გელას ერმიტაჟი დაარქვა და როცა ახალ პატიმრებს მოიყვანდნენ, ეუბნებოდა ხოლმე, წამოდით, ერმიტაჟი უნდა განახოთო. მიიყვანდა გელას კამერაში და ზორბა პატიმარს ტანზე გახდას სთხოვდა. ახლადმოსულები მოხატულ სხეულს ინტერესით ათვალიერებდნენ. გელა კი ბუზღუნებდა, შემდეგში აღარავინ მოიყვანო, აღარ გავიხდიო, მაგრამ №0578 ამშვიდებდა, მალე ბილეთების გაყიდვას დავიწყებთ შენი სხეულის დათვალიერებაშიო.

ერთ დღეს გელას ადმინისტრაციაში დაუძახეს, იქიდან გადმოსულს კი ფერი აღარ ედო.

— „რა ხდება?!“ — ჰკითხა №0578-მა.

— „რაღა რა ხდება? ჩემი ძმა დაიჭირეს“, — ამოიხვნეშა გელამ.

— „მიზეზი?!“

— „იგივე“.

— „ანუ წამალი?!“ — ჩაეკითხა №0578.

„ეჰ, კარგი რა, რა წამალი. გინახავს ორასკილოიანი კაცი წამალს იკეთებდეს?! წამალი კი არა თხილი ძმაო, თხილი“, — გელა ლამის ტიროდა.

„რა თხილი კაცო, შენ წამლის მოხმარებაზე არ ზიხარ?!“ — გაოცდა №0578.

გელამ ხელი ჩაიქნია და კამერაში ავიდა. მეორე დილით №0578 გელას კამერაში მივიდა, ნარზე ჩამოუჯდა და მშვიდად უთხრა: „დაიწყე“.

„რა დავიწყო? მე, ჩემი ორი ძმა და მამა რუსეთში წავედით სამუშაოდ. დიდი ფული ვიშოვეთ და სოფელში თხილის სერიოზული პლანტაცია გავაშენეთ. ჩემი ერთი ძმა საქართველოში დაბრუნებას აღარ აპირებდა, ამიტომ, მამამ თქვა, ეს პლანტაცია იმის სახელზე გავაფორმოთ და საბუთების მოწესრიგების მიზეზით მაინც ჩამოვიყვანთ წელიწადში ერთხელო. ასეც მოვიქეცით, ჩვენ დავბრუნდით, ის იქ დარჩა. როცა პლანტაცია სრულად დაიქოქა, წლიურად თითქმის მილიონ ლარამდე ვშოულობდით და მერე მთელი წელი არაფერს ვაკეთებდით. სახლები ვიყიდეთ, მანქანები...“

„და ერთ დღეს ახალაიები დაგადგნენ“... — გაეცინა №0578-ს.

„შენ საიდან იცი?!“ — გაოცდა გელა.

„ბიჭო, სამეგრელოში აბა ბიზნესს გივია თარგამაძე ხომ არ წაგართმევდა, მაგას თბილისი, კონკრეტულად კი საბურთალოს რაიონი ებარა. შენ მიდი, გააგრძელე, მე ყურადღებას ნუ მომაქცევ“, — გაეცინა №0578-ს.

„ჰო, დამადგნენ. პრინციპში, კი არ დამადგნენ, დედაჩემიც იმავე სკოლაში ასწავლიდა, სადაც ახალაიების დედა და ერთმა ურჩია, მიდი, როლანდთან შეხვედრა სთხოვე, ძალიან ყვირის უკვე თქვენი პლანტაცია და როლანდთან რომ გამოჩნდებით, ხელისუფლებაც მოგერიდებათ და ყაჩაღებიცო. დედაჩემმა ეს სახლში თქვა, მამაჩემს იდეა არ მოეწონა და უთხრა, ჩუმად იყავი, არავისთან შეხვედრა რა მინდაო. ამ ამბიდან ორი თვის შემდეგ, თავად ახალაიების დედამ უთხრა დედაჩემს, როლანდს შენი ქმრის ნახვა უნდა, სახლში კიბე გვაქვს გასაკეთებელიო. კარგი ხელოსანი იყო მამაჩემი და რაღა უნდა ექნა, წავიდა. იქიდან დაბრუნების შემდეგ, ცოცხალმკვდარი შემოვიდა სახლში. როლანდმა პლანტაცია მთხოვა, მთლიანად უნდა მომცე, სახელმწიფო საქმეს სჭირდებაო. მამაჩემს კატეგორიული უარი უთქვამს და, პრაქტიკულად, ჩხუბით წამოსულა იქიდან. სახლიდან არ გავდიოდით, არ ვიცოდით, რა გვექნა. ბოლოს მე გამოვედი ზუგდიდში მანქანით, ცოლშვილთან ერთად, პური ვიყიდე და რომ ჩავჯექი, დამაკავეს. ცოლ-შვილის თვალწინ ამომიგრიხეს ხელები და ცემა-ტყეპით წამიყვანეს. კინაღამ გამიგიჟდა ბავშვი. პროკურატურაში როლანდა დამხვდა. მითხრა, ახლა ისწავლის მამაშენი ჭკუასო და წამლის მოხმარების ბრალდება წამიყენეს. წყალი ძალით დამალევინეს, მერე მომაშარდვინეს და ასე დამიმტკიცეს მოხმარება, შვიდი წელი მომისაჯეს და გამომიშვეს აქეთ. თან მამაჩემს შეუთვალეს, შვილი კიდევ ორი გყავს და იმათაც ეს დღე ელისო.

მამა გაჯიუტდა, ჩემს ძმას, რომლის სახელზეც ეს ყველაფერი იყო, ჩამოსვლა აუკრძალა და აგერ, ახლა მეორე ძმა დაიჭირეს. იგივე ბრალდებით და იგივე სროკით. მამა ისევ უარზეა, უკვე მეც უარზე ვარ, პრინციპის საქმეა, ჩემს ცოლშვილს და დედ-მამას ვერ დაიჭერენ, ძმა იქით არის და გავა ეს შვიდი წელიც“, — დაასრულა მონოლოგი გელამ.

ერთი თვის შემდეგ გელას ისევ ადმინისტრაციაში დაუძახეს. იქიდან გადმოსულს გიჟის თვალები ჰქონდა და ტიროდა.

„რა მოხდა?!“ — გელას მთელი ზონა შემოეხვია.

„დედაჩემი დაიჭირეს, დედაჩემი... წამლის გაყიდვის ბრალდებით. 15-წლიანი მუხლი აქვს წაყენებული“, — მოთქვამდა გელა. პატიმრებს გაოცებისგან ენა ჩაუვარდათ. რამდენიმე თვეში გელას დედა 13 წლით გისოსებსმიღმა გაისტუმრეს.

„თუ სამივეს გაგიშვებენ, ეგებ დაგეთმოთ ის მიწა?!“ — ჰკითხა ერთ დღეს №0578-მა გელას.

„დედა რომ დაიჭირეს, მამაჩემი მივიდა როლანდთან და უთხრა, ვთმობ და შეგვეშვიო, მაგრამ იმან უარი უთხრა, სამაგალითოდ დაგსჯით თქვენ და მერე უარს ვერავინ ვერაფერზე გამიბედავსო. ჰოდა, აღარ გვართმევს ახლა იმ მიწას, არა“, — ამოიგმინა გელამ.

ორი თვის შემდეგ, კრასნოდარის ოლქში, საქართველოდან წასული შეტყობინების საფუძველზე, გურამ შ. დააკავეს. გელას მეორე ძმის ექსტრადიცია ორ თვეში მოხდა და ისიც შვიდწლიანი სროკით ციხეში გაუშვეს.

„მე, ჩემი ძმები და დედაჩემი — აი, ეს არის ახალაიას შურისძიება. ერთი ოჯახიდან ოთხი კაცი ვართ ციხეში და ამათ როგორ უნდა გაიხარონ? აქედან რომ გავალ, როლანდ ახალაიას სადაც ვნახავ, იქ ვესვრი. არ მაინტერესებს მერე რა მოხდება, ცოცხლად დაგვმარხა“, — ღრიალებდა გელა.

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გელას ოჯახისთვის თითქმის არაფერი შეიცვალა. ერთი ეგ იყო, ახალმა პრეზიდენტმა გელას დედა შეიწყალა, ძმებმა კი შვიდწლიანი სასჯელი ბოლომდე მოიხადეს. გელა თბილისში ცხოვრობს, ძმები ისევ რუსეთში არიან, ის საჯილდაო მიწა ისევ ამ ოჯახისაა, თუმცა მამამ მარტომ ვეღარ მოუარა და ისეთ მოსავალს აღარ იძლევა.

„როლანდა აღარ გინახავს მას შემდეგ? გახსოვს, რომ იმუქრებოდი, სადაც ვნახავ, იქ ვესვრიო?!“ — ღიმილით შეახსენა მუქარა №0578-მა გელას.

„ვნახე. ბაჩოს სასამართლოები რომ მიდიოდა, მაშინ მივედი და დავენახე. მკვდრის ფერი დაედო... ასე დავენახვები მუდამ და ერთხელაც იქნება, გული გაუსკდება, მაგრამ სად აქვს მაგას გული?!“ — გაბრაზებით თქვა გელამ.

„და ის ნაკოლკები მოიშორე?!“

„არა, არ მომიშორებია. ფული უნდა მაგასაც, დიდი ფული და შენ რა გითხარი მე, როცა ვიკეთებდი, თავში რომ არ წამომარტყი, რას აკეთებო“, — აქეთ დაადო ვალი გელამ.

„თავში როლანდამ წამოგარტყა, მაგრამ არ შეისმინე და ჩემსას შეისმენდი?!“ — გაეღიმა №0578-ს.



### შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი კობა გ. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით რუსთავში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 2 შეკვრად დაფასოებული 0,07გრ. ნარკოტიკული საშუალება „ბიო“ ამოიღეს.

გამოძიება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

### საბურთალოს რაიონის გამგეობის უფროსი სპეციალისტი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი მიხეილ ქვირია დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 3 მარტს მიხეილ ქვირიამ ინდოეთისა და ერაყის მოქალაქეებს თბილისში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, საბურთალოს რაიონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6300 კვ.მ მიწის ნაკვეთის შესაძენად აუქციონის მომზადებისა და ჩატარების უზრუნველყოფაში დახმარების სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 10 000 აშშ დოლარი.

გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

*„ვერსიანიუსი“*

### შსს-მ დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო



შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი, სენაკში მცხოვრები მალხაზ ლ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ბრალდებით, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის 23-ე კილომეტრზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას 1 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება, ხოლო მისი მართვის ქვეშ მყოფი სატვირთო ავტომანქანის ჩხრეკისას, სალონიდან კიდევ 1 შეკვრა ამოიღეს. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული 3 გრ ნარკოტიკული საშუალება 0,742 გრ ჰეროინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებისას მალხაზ ლ. ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი“*

# ამერიკელები საქართველოს ხელისუფლებას შრომის ინსპექციის შექმნისკენ მოუწოდებენ

ლევან სეფისკვერაძე

**სამი დღის განმავლობაში, საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ შრომის ამერიკული ფედერაციის-სამრეწველო პროფკავშირების კონგრესის სოლიდარობის ცენტრის ხელმძღვანელობა და ამერიკის ხელისუფლების მაღალი წარმომადგენლები. სოლიდარობის ცენტრს წარმოადგენდნენ: ცენტრის დირექტორი შონა ბადერ-ბლაუ, ცენტრის რეგიონული დირექტორი, რუდი პორტერი და ცენტრის თბილისის ოფისის დირექტორი სტანისლავ ჩენიუხი. შეხვედრა პროფესიული კავშირების გაერთიანების გამგეობასთანაც გაიმართა, გაერთიანების ახალგაზრდული ორგანიზაციის გამგეობასთანაც და ქალთა კომიტეტთანაც.**



დელეგაციის შემადგენლობაში ასევე იყვნენ, გამორჩეულად საპატიო სტუმარი, აშშ-ს შრომის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე მარკ მითელჰაუზერი და აშშ-ს შრომის დეპარტამენტის პროგრამების ხელმძღვანელი სტივ მარლერი.

ამერიკის დელეგაცია შეეცადა, დაერწმუნებინა საქართველოს ხელისუფლება, რომ ქვეყანაში, აუცილებელია შრომის სახელმწიფო ინსპექციის შექმნა.

ამერიკელი სტუმრების ქართული ვოიაჟის გადამწყვეტი შეხვედრა თბილისში, გლდანის მეტროპოლიტენში გაიმართა, სადაც მოეწყო, ამერიკის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „მშრომელთა ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში" პრეზენტაცია. მას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ღონისძიების ერთ-ერთმა მასპინძელმა, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრე ჯაფარიძემ სტუმრებს გლდანის დეპო დაათვალიერებინა და იქ მიმდინარე სამუშაო პროცესი გააცნო. უცხოელი დიპლომატები ადგილზე გაეცნენ მატარებლების შეკეთების პროცესს, სიახლეებს და შრომით პირობებს.

პრეზენტაციის მონაწილეებს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრე ჯაფარიძემ და საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილმა მიმართეს. პროექტს ამერიკის მთავრობა დააფინანსებს და აშშ-ს შრომის საერთაშორისო სოლიდარობის ცენტრი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად განახორციელებს. პროექტის ბიუჯეტი 700 000 დოლარია.

პროექტის ფარგლებში მოხდება პროფესიული კავშირების გაერთიანების დახმარება და მისი წევრი დარგობრივი პროფკავშირების უნარების განვითარება დამსაქმებლებთან ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, მთავრობასთან სოციალური დიალოგის უკეთ წარმოებისათვის, რათა ერთის მხრივ, მშრომელთა უფლებები იყოს უკეთ დაცული, მეორე მხრივ კი, ქვეყანასა და კომპანიებში მიღწეული იყოს სოლიდარობა. ასევე დაგეგმილია ტრენინგები კოლექტიური მოლაპარაკებების გამართვის, შრომის უსაფრთხოების დაცვის მშრომელთა უფლება-მოვალეობების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. პროექტი ასევე ითვალისწინებს მშრომელთა იურიდიულ დახმარებას, მათ წარმომადგენლობას სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში, შრომითი უსაფრთხოებისა და სამართლებრივ საკითხებში ეფექტური მხარდაჭერის აღმოჩენას. პროექტი სამი წლის განმავლობაში განხორციელდება.

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა გლდანის დეპოში მიწვეულ სტუმრებსა და ჟურნალისტებს გააცნო სტუმრები და იმედი გამოთქვა, რომ ეს შეხვედრა განამტკიცებს ქართულ-ამერიკულ პროფკავშირულ თანამშრომლობას მშრომელთა სოციალური, მატერიალური და შრომითი უფლებების წარმატებულად დასაცავად. მისივე თქმით, იგი ამაყია, რომ შეხვედრა მეტროპოლიტენში – სამუშაო ადგილზე (სადაც ჩვეულებრივი დასაქმებულები მუშაობენ) გაიმართა და არა ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, რადგან პროფკავშირები მსოფლიოში სწორედ რიგით დასაქმებულებზე დგას.

ამერიკის სოლიდარობის ცენტრის დირექტორმა, შონა ბადერ-ბლაუმ აღნიშნა, რომ პროფკავშირული მოღვაწეობა მისთვის ტრადიციაა. მამამისი დიდი ხნის განმავლობაში იყო ამერიკის პედაგოგთა პროფკავშირის თავმჯდომარე. მან ქართველ პროფკავშირელებს აღუთქვა სოლიდარობის ცენტრის მხრიდან სრული მხარდაჭერა და იმედი გამოთქვა, რომ ასეთი შეხვედრები საქართველოსა და ამერიკის პროფკავშირებს უფრო დააახლოებს.

მარკ მითელჰაუზერმა და რუდი პორტერმა აღნიშნეს, რომ მათთვის ცნობილია, რა რთულ ვითარებაში უწევდა და მეტ წილად დღესაც უწევს მუშაობა ქართულ პროფკავშირებს. **რუდი ფოსტერის** თქმით: **„საქართველოს შრომის კოდექსში 2013 წელს განხორციელებული ცვლილებები, მათი გულისხმიერი შესრულების შემთხვევაშიც კი საჭირო ცვლილებების მესამედიც კი არ არის. სოლიდარობის ცენტრი მხარს დაუჭერს ქართული პროფკავშირების კეთილშობილურ ძალისხმევას, რომ მშრომელთათვის აუცილებელი ცვლილებები შრომის კოდექსში სრული 100%-თ განხორციელდეს. აშშ-ს შრომის დეპარტამენტი იწყებს ახალ პროექტს საქართველოში, რომელიც მიმართული იქნება შრომის ცივილიზებული სტანდარტების, მშრომელთა უფლებების დაცვის დამკვიდრებაზე".**

სოლიდარობის თბილისის ოფისის დირექტორმა, სტანისლავ ჩენიუხმა განაცხადა, რომ საქართველოში ერთწლიანი მუშაობის შედეგად ის თითქმის გაქართველდა. მისი მუშაობა და თავად სოლიდარობის ცენტრის დირექტორატის ვიზიტიც ემსახურება საქართველოს მშრომელთა და მათი პროფკავშირების საქმიანობის განვითარებისთვის ახალი შესაძლებლობების ხელშეწყობას.

საქართველოს პროფკავშირების გარდა, ამერიკის პროფკავშირები და ევროპის პროფკავშირების გაერთიანებები საქართველოს ხელისუფლებას დიდი ხანია შრომის ინსპექციის შექმნისაკენ მოუწოდებენ, თუმცა ეს პროცესი რატომღაც დროში იწელება და საშველი არადა არ დაადგა. ამის პარალელურად, მაღაროებში, შახტებსა თუ მშენებლობებზე სამუშაო პირობები კვლავინდებურად დიდი საფრთხის შემცველია და სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა გარდაცვალების შემთხვევები ქვეყანაში წლიდან წლამდე იმატებს.

ამ პრობლემის შესახებ, ამერიკელმა სტუმრებმაც ისაუბრეს, რომლებიც იმედოვნებენ, რომ საქართველოს ხელისუფლება (განსაკუთრებით კი ეკონომიკის სამინისტრო) არ გაიმეორებს წინამორბედის შეცდომებს, შექმნის სრულფასოვან შრომის ინსპექციას და არ დააკნინებს ამ ინსტიტუციის მნიშვნელობას.

ირაკლი პეტრიაშვილი აცხადებს, რომ შრომის ინსპექცია ჰაერივით სჭირდება ჩვენს ეკონომიკას და სიამოვნებით მოისმენს ყველაზე რადიკალი ნეოლიბერტარიანელის არგუმენტირებულ წინააღმდეგობას შრომის ინსპექციის შექმნასთან დაკავშირებით. პეტრიაშვილი იმასაც ამბობს, რომ თუ საწინააღმდეგო არგუმენტი ვინმეს ექნება, პროფკავშირები პოზიციას შეიცვლის.

რაც შეეხება შრომის ინსპექციის შექმნის შემთხვევაში კორუფციის ზრდის საშიშროებას, პეტრიაშვილი აცხადებს: „ამ შემთხვევაში არაპატიოსანი მეწარმე შეეკვრება არაპატიოსან ინსპექტორს. საქართველოს პროფკავშირები ვამბობთ, რომ რაც უნდა ავტორიტეტული იყოს უწყება, კონტროლი არ უნდა იყოს ცალმხრივი, ის უნდა განახორციელოს სამმხრივმა კომისიამ — მეწარმეებმა, პროფკავშირებმა და მთავრობამ ერთად უნდა გააკონტროლონ ამ უწყების საქმიანობა".

შრომის კოდექსის შესრულებაზე ზედამხედველობის მიზნით მთავრობამ ევროკავშირთან მიმართებაში შრომის ინსპექციის შექმნის ვალდებულება აიღო, თუმცა ეს პროცესი ბოლომდე დღემდე არაა მიყვანილი. ამასთან, პროფკავშირებში ხედავენ საშიშროებას, რომ ხელისუფლების მიერ შექმნილი შრომის ინსპექცია ფუნქციონალურად ძალიან სუსტი იქნება და იგი ვერ უზრუნველყოფს დასაქმებულთა შრომითი უფლებების სათანადო დაცვას. დისკუსიები ამ საკითხზე აქტიურად მიმდინარეობს. დასაქმებულთა უფლებები კი, სამწუხაროდ, კვლავ დაუცველია.

კულტურა

# ევროკავშირის კინოფესტივალი — ვარსკვლავთცვენა საქართველოს ხუთ ქალაქში

მაკა ლომაძე
555-27-95-13

**მსოფლიო კინოთეატრების მსგავსად, ქართული კინოთეატრებიც, ძირითადად, ბლოკ-ბასტერებს გვთავაზობენ. მიზეზი მარტივია — ამ ჟანრის ფილმები გაყიდვადი, ყურებადი და, შესაბამისად, მომგებიანია. თუმცა, კინოგურმანთა საბედნიეროდ, ყოველთვის რჩება პატარა „სარკმელი", საიდანაც ნამდვილი ხელოვნების ჟანგბადი შემოდის. ეს სარკმელი კი, ხშირად კინოს სახლში იღება, რომელიც დარბაზით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ კინოფესტივალებს ზეიმად აქცევს ხოლმე მაყურებლებისთვის. ამ მხრივ, მთავარ მოვლენად „პრომეთე" რჩება, თუმცა არის სხვა გამონათებებიც. მაგალითად, ევროკავშირის კინოფესტივალი, რომელიც 20 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით, საქართველოში უკვე მეორედ გაიმართა.**

20 თებერვალს, გახსნის ცერემონიალზე, კინოთეატრ „ამირანში" ნაჩვენები იყო იტალიელი რეჟისორის, ფრანჩესკა კომენჩინის ფილმი „განსაკუთრებული დღე" და პორტუგალიური მოკლემეტრაჟიანი ფილმები. ფილმი მოგვითხრობს, რა ძვირად უჯდება ახალგაზრდა გოგოს სამსახიობო კარიერის კეთება. ფესტივალმა, თბილისის გარდა, სხვა ქალაქებიც მოიცვა. თბილისელებთან ერთად, საინტერესო ფილმები ევროკავშირის 12 წევრი ქვეყნიდან ქუთაისელმა, გორელმა, ზუგდიდელმა და ფოთელმა მაყურებელმაც იხილა, რაც ადგილობრივებისთვის, მართლაც დიდი დღესასწაული იყო. ამას ადასტურებს, ქუთაისელი პედაგოგი **ნინო ფაიქიძე: „მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისი მეორე ქალაქად მიიჩნევა და ასევე, ზოგადად ქართული კულტურის აკვანია, ის ძალიან ჩამკვდარია. დაუჯერებელია, მაგრამ საკუთარი კინოთეატრიც არ გვაქვს. მადლობელი ვართ, რომ გაგვიხსენეს. იმედია, ხშირად იქნება ასეთი გამონათება და მეტ ყურადღებას მოგვაქცევენ, რადგან სულიერი საკვები უმნიშვნელოვანესია, განსაკუთრებით კი ჩვენი, ახალგაზრდა თაობისთვის, რომლებიც ძლივს ვძლებთ აქ ერთფეროვნების გამო".**

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოების ხელშეწყობით ქართველმა მაყურებელმა იხილა მნიშვნელოვანი ევროპული ფილმები შვედეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან, ბულგარეთიდან, იტალიიდან, ლიტვიდან, პორტუგალიიდან, ნიდერლანდებიდან, ესტონეთიდან და დანიიდან. წარმოდგენილ ფილმებს არაერთი აღიარება და ჯილდო აქვს მოპოვებული ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში. **„მოხარულები ვართ, რომ წარმოვადგენთ ჩვენს ქვეყანას ევროკავშირის კინოფესტივალზე ორი სრულიად განსხვავებული ფილმით. ერთი არის კომედია, მეორე კი 80-იან წლებში ფართოდ გავრცელებულ დოპინგსისტემაზე მოგვითხრობს, რომელიც არამარტო სპორტსმენებს ვნებდა, არამედ მათ ნათესავებსაც უნგრევდა ცხოვრებას",** — განაცხადა „ვერსიასთან" საუბრისას ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩმა, **ტომას პერნიცკიმ.**

ფესტივალის პროგრამიდან განსაკუთრებით დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ნიდერლანდური „მარათონი". კომედიური ფილმი მოგვითხრობს 4 საშუალო ასაკის მეგობარ კაცზე, რომლებსაც აქვთ მანქანების სახელოსნო და საგადასახადო სამსახურის ვალი — არც მეტი, არც ნაკლები, 40 000 ევრო... ისინი გადაწყვეტენ, რომ მარათონში მიიღონ მონაწილეობა და ასე იხსნან სახელოსნო. ძლიერ იუმორთან ერთად, ფილმში დრამატიზმიცაა, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მას. სახელოსნოს მფლობელი ჟერარი კიბოთია დაავადებული, მაგრამ ყველას უმალავს. იგი შეიხთან დებს ფსონს — 40 000 ან არაფერი. მას უნდა, დაამტკიცოს, რომ კიდევ ბევრი რამ შეუძლია. შეიხს არ სჯერა მამაკაცების ფიზიკური მონაცემების, ამიტომ გარიგებაზე სიხარულით მიდის.




მიუხედავად იმისა, რომ მთავარ გმირს ფინიშამდე რამდენიმე ნაბიჯი აშორებდა, ის ცუდად ხდება. სამაგიეროდ, ფინიშამდე მიდიან მისი მეგობრები, რომლებმაც თავი არ დაზოგეს და სირბილში ბევრი იმეცადინეს. ფინალური სცენა — სახელოსნოში, ჟერარის მეგობრები და მისი ვაჟი არიან. ჟერარის ვაჟი მიხვდა, რომ ნარკოტიკსა და ქურდობას შრომა სჯობს... ამისთვის ნამდვილად ღირდა სიკვდილიც კი...

ფესტივალის ფარგლებში ცნობილი ქართველი კინოკრიტიკოსები სხვადასხვა ქალაქში დისკუსიებს უძღვებოდნენ. ფესტივალის წარმდგენი და მისი კინოექსპერტი კი **ნინია კაკაბაძე** იყო, რომელმაც „ვერსიასთან" ქართული კინოს ბოლოდროინდელ წარმატებაზეც ისაუბრა: **„ზოგ შემთხვევაში, არჩევანი დიდი იყო და ფესტივალმა შეარჩია ფილმები. მაგალითად, იტალიამ 80 გამოგზავნა. ზოგმა მხოლოდ 1-2 ფილმი გამოუშვა და ისინი პირდაპირ ჩაჯდა პროგრამაში. ევროპული ფილმების ფესტივალი რომ ტარდება, კარგია, თუმცა, ბუნებრივია, სამომავლოდ შესაძლებელია პროგრამისა და კონცეფციის დახვეწა, რათა მაყურებელმა ევროპული კულტურა და ფასეულობები უკეთ გაიცნოს და ამავე დროს, ნახოს კარგი საავტორო კინო. სასიამოვნოა ქართული ფილმების წარმატება. ოსკარის ნომინანტთა ხუთეულში „მანდარინების" მოხვედრა დიდი წარმატებაა. თუმცა, ჩემთვის, როგორც კარგი კინოს მოყვარულისთვის, კანის ოქროს პალმის რტო, ვენეციის ოქროს ლომი და ბერლინის ოქროს დათვი ოსკარზე მნიშვნელოვანია. მომავალში, ქართველ რეჟისორებს ამ ჯილდოების მიღებას ვუსურვებ".**

ევროკავშირის კინოფესტივალი, რომელიც საკმაოდ წარმომადგენლობითი და ჟანრობრივ-შინაარსობრივად მრავალფეროვანი იყო, დაიხურა ლიტვური ფილმით: „როგორ მოვიტაცოთ ცოლი".



# „ახლების“ განმარტება გამყრელიძეზე, მოსიძეზე და საგანელიძეზე

## „არ მინდა, „ქართულმა ოცნებამ“ გიორგი მოსიძე საკუთარი ანტურაჟისთვის გამოიყენოს“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ახალი მემარჯვენეების პასიურობის მიუხედავად, ამ პარტიის მოქმედი თუ ყოფილი წევრების გარშემო, ბოლო დროს, სერიოზული მითქმა-მოთქმა გაჩაღდა: დავით გამყრელიძე პოლიტიკაში ბრუნდება, დავით საგანელიძე „ოცნებიდან“ მიდის, გიორგი მოსიძე პარტია „ოცნებაში“ წევრიანდება, „ახლები“ ნაციონალებთან ალიანსს აკეთებენ... ყველა ეს კითხვა „ახლების“ თავმჯდომარეს ფიქრია ჩიხრაძეს დავუსვით, რომელიც „ყოფილებისა“ და პარტიის ურთიერთობებს განმარტავს.**

— **დავით გამყრელიძე პოლიტიკაში ბრუნდება და თავის თანაპარტიელებთან კონსულტაციები უკვე დაიწყოო, ასეა?**

— სამწუხაროდ, ამ ჭორში სიმართლის მარცვალიც არ არის. ყველას ვეუბნები, რომ ამ თემაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება შეუძლებელია, რადგან ამ ინფორმაციას არავითარი საფუძველი არ აქვს. დათო გამყრელიძის პოლიტიკიდან წასვლას დიდი გულისტკივილით შევხვდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, არაფერი შეცვლილა და მას საკუთარი პოზიცია არ გადაუხედავს.

— **მეტიც, თურმე, მასთან ერთად, ნაციონალურ მოძრაობასთან ალიანსსაც ქმნით...**

— ხომ იცით, ჭორმა აგორება და გადაბრუნება იცის. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა და თურმე, ალიანსს უკვე „ქართულ ოცნებასთან“ აკეთებს, ჩემამდე ასეთმა ხმამაც მოაღწია. შესაბამისად, ამ თეორიებზე საუბარს აზრი არ აქვს.

— **სამაგიეროდ, ჭორი არ არის გიორგი მოსიძის „ოცნებასთან“ კონსულტაციები. ინტელექტკლუბის პრეზიდენტი თქვენი პარტიიდან წლების წინ, საკმაოდ უხმაუროდ წავიდა. რა შეიცვალა ისეთი, რომ ინტელექტუალები პოლიტიკაში, გაკოტრებულ ხელისუფლებასთან მიდიან?**

— მეხუთე წელია, გიორგი ჩვენს პარტიასა და პოლიტიკას ჩამოსცილდა და აქტიურად ჩაება სატელევიზიო საქმიანობაში. ვიცი, კინოს პროდიუსერობაც სურდა, სწავლაც დაიწყო. ახლა რა მისაუბრია. მხოლოდ მის ზოგად მოსაზრებებს ვიცნობ, რაც ჯერ მის სადმე წასვლას არ ადასტურებს. თუმცა „ოცნებასთან“ რომ ისაუბრა და განსაკუთრებულ სიმპათიას მოსიძის მიმართ ამჟღავნებენ, ფაქტია. ყველა ადამიანს თავისი არჩევანი აქვს. გიორგი მოსიძეზე ყველგან და ყოველთვის მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. დღეს იგი აპოლიტიკური ადამიანია და როგორც სურს, ისე მოიქცევა. თუმცა ადამიანურად, არ მინდა, მართლაც გაკოტრებულმა ხელისუფლებამ გიორგი და მისნაირი ხალხი საკუთარი ანტურაჟის გასამდიდრებლად გამოიყენოს.

— **ერთ ყოფილ თანაპარტიელზეც გკითხავთ — დავით საგანელიძემ თქვა, რომ „ოცნებიდან“ მიდის და ლოგიკურად, ან ძველ პარტიაში ბრუნდება, ან საკუთარ პარტიას ქმნის. რაიმე ინფორმაცია ხომ არ გაქვთ?**

— ჩვენს პარტიაში დაბრუნებაზე საუბარი აბსურდია — ასეთი რამეები არ ხდება! მძიმე პერიოდები გავიარეთ, ბევრი წარმატებაც გვქონია და წარუმატებლობაც და კვლავ ერთად ვართ — გასაჭირის დროს ერთმანეთი არ მიგვიტოვებია! დავით საგანელიძეზე აქამდე არც ერთი კომენტარი არ გამიკეთებია და არც ამის შემდეგ ვაპირებ, მან თავისი გზა აირჩია. მისი გადაწყვეტილებები არც ერთ შემთხვევაში, ახალ მემარჯვენეებს არ დაუკავშირდება!

— **„ოცნებაში“ დაპირისპირება მხოლოდ საგანელიძის გამოც არაა, ამ პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ნაციონალების 21 მარტს დაანონსებულ აქციას სხვა სცენარის სუნი ხომ არ ასდის?**

— სხვა სცენარებზე ხელისუფლების წარმომადგენლები კარგა ხანია საუბრობენ — ხან ბორბლების დაწვას ახსენებენ ქუჩებში, ხან დესტაბილიზაციას. ყველაზე ცუდი ისაა, რომ სახელისუფლო გუნდი, ისე არ იქცევა, როგორც უნდა მოქმედებდეს. ოპონენტებთან გასწორებას არ ვგულისხმობ — ეს ერთადერთია, რასაც აკეთებენ. არ არიან გუნდურები, თანმიმდევრულები, არ გამოკვეთეს საქართველოს სტრატეგიული მიმართულებები, არ ასრულებენ დაპირებებს, არ აგვარებენ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს. ხალხს კრიზისიდან გამოსვლის გზა აინტერესებს. შესაბამისად, ნაციონალური მოძრაობა, რომელიც საკმაოდ შეკრული და მობილიზებულია, ამ შესაძლებლობას 21 მარტს გამოიყენებს თუ სხვა დროს, მათი საქმეა და ვერც გაამტყუნებ. თუმცა არ ვიცი, ამას პარტიული ქულების შესაგროვებლად აკეთებენ თუ ძალების დემონსტრირებისთვის.

— **იქნებ, ე.წ. თბილისური მაიდნის მოსაწყობად?**

— ეს შედარება, ცოტა არ იყოს, კლიშედ იქცა, რაც, თავის დროზე „ოცნებამ“ დაამკვიდრა. უცნაურია, რადგან ამით საკუთარი თავი იანუკოვიჩთან გააიგივეს. არ მგონია, საქართველოში მსგავსი რამ იგეგმებოდეს, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უცებ არ გამოაცხადეს, ევრაზიულ კავშირში ვწევრიანდებითო. ამ მიმართულებით ეჭვი ბევრია, „ოცნების“ ლიდერები უცნაურ განცხადებებს აკეთებენ. ესაა ყველაზე ცუდი — სახელისუფლო გუნდის პოზიციაზე ვმარჩიელობთ. არც ისაა ძნელი გამოსაცნობი, ჩვენი რომელი მეზობელი გამოიყენებს საქართველოში შექმნილ კრიზისს სათავისოდ. იმედია, გონიერება ყველას ეყოფა და სისულელეს არ ჩაიდენს. დღეს არც „ოცნება“ და არც ვინმე, ისეთი გულადი არ არის, აქციაზე შეიჭრას და ხალხი დაარბიოს. იმედია, არც თავად ნაციონალებს აქვთ განზრახვა, ვინმეს თავს დაესხან და პროვოკაცია მოაწყონ. სჯობს, გაცხელებული თავი ყველამ გაიგრილოს.

— **თქვენი პარტია რითაა დაკავებული, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს როგორ ეხმაურებით ან საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფში რა ხდება?**

— აი, საარჩევნო კოდექსი ის საკითხია, რაც ცუდ ხასიათზე მაყენებს. არასაპარლამენტო ოპოზიცია უკვე შეთანხმებულია, კონსულტაციები გვქონდა საპარლამენტო ოპოზიციასთანაც, სახელისუფლო კოალიციაში შემავალ პარტიებთანაც, პარლამენტის თავმჯდომარესთან, პრეზიდენტთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აბაშიძე-კარასინის ფორმატისთვის არ მიგვიმართავს, თორემ დანარჩენი ყველაფერი მოვსინჯეთ.

— **ივანიშვილთან რომ არ გქონიათ კონსულტაცია?**

— ალბათ, საქმეც ესაა. ერთადერთი პარტია „ქართული ოცნებაა“, რომლის მოსაზრებაც არ ვიცით. ცოცხალი წარმომადგენელი ვერც აღმასრულებელ და ვერც საკანონმდებლო ხელისუფლებაში ვერ ვნახეთ, ვინც თავზე ხელისუფლების პოზიციის გადმოცემას აიღებდა. ალბათ, მიზეზი ისაა, რომ ხელისუფლების უკან ივანიშვილი დგას, რომელსაც ამ თემაზე პოზიცია არ აქვს. ანდაც, სურთ, დრო მაქსიმალურად გაიყვანონ და არჩევნები ისევ ძველი, მახინჯი, რეგრესული მაჟორიტარული სისტემით ჩაატარონ.

ნოვაცია

# თიბისი ბანკის ინოვაციური ვებპორტალი მცირე ბიზნესის განსავითარებლად



## IFC-ს, საქართველოს მთავრობასა და თიბისი ბანკს შორის ერთობლივი მემორანდუმი გაფორმდა

**5 მარტს, თიბისი ბანკის სათავო ოფისში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (IFC)-ს, მეწარმეობის განვითარების სააგენტოსა და თიბისი ბანკს შორის, ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. ამ მემორანდუმის თანახმად, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი IFC, ხელს შეუწყობს თიბისი ბანკის „ბიზნესის მხადაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილ, უფასო საგანმანათლებლო ვებპორტალის — www.tbcbusiness.ge-ს ხელმისაწვდომობას საქართველოს რეგიონებში. მემორანდუმს ხელი მოაწერეს თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დირექტორმა გიორგი ციკოლიამ და IFC-ის წარმომადგენელმა საქართველოში, თეა გიგიბერიამ.**

**ვახტანგ ბუცხრიკიძის** განმარტებით, tbcbusiness.ge-ს ფარგლებში, სპეციალურად შექმნილია აპლიკაცია — „თიბისი ბიზნესაკადემია“, რომელიც ამიერიდან თბილისის ფარგლებს გასცდება და ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვისაც. მისი თქმით, ეს ვებპორტალი დამწყებ ბიზნესმენებს საშუალებას მისცემს, საქმიანობის წამოწყებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა ვირტუალურ რეჟიმში შეიძინონ: **„საქართველოს რეგიონის მოსახლეობა ვირტუალურად მოისმენს ლექციებს, გაეცნობიან მასალებს ბიზნესის მართვის, ფინანსების საფუძვლებისა და ზოგადი მენეჯმენტის შესახებ. ისინი ისწავლიან ბიზნესგეგმის შემუშავებას, რათა რეალურად მოემზადონ ბიზნესის დასაწყებად. „თიბისი ბიზნესაკადემია“, აპლიკანტებს საშუალებას მისცემს, სპეციალური ტესტების საშუალებით შეამოწმონ მიღებული ცოდნა და სერტიფიკატი მიიღონ“.**

IFC-ის საქართველოში წარმომადგენლის, **თეა გიგიბერიას** განცხადებით, საგანმანათლებლო ვებპორტალი tbcbusiness.ge, IFC-ის ინოვაციაა და IBM-თან თანამშრომლობით შეიქმნა. მასში თავმოყრილია ყველა ის საბაზისო ინსტრუმენტი და საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მეწარმეებს ბიზნესის უფრო ეფექტურად მართვაში, კონკურენტუნარიანობისა და მომგებიანობის ამაღლებაში დაეხმარება. მისი თქმით, ამ პორტალის ამოქმედება საქართველოში, IFC-ის იმ სტრატეგიის ნაწილია, რომელიც ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას ისახავს მიზნად: „IFC-**ისა და თიბისი ბანკის ერთობლივი პროექტი 2013 წლიდან ამოქმედდა და შვეიცარიის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო სამდივნოს (SECO) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. ჩვენი ერთობლივი საქმიანობა იმის მაგალითია, თუ რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს მსოფლიო მასშტაბით დაგროვილი ცოდნის ადგილობრივი ბაზრის თავისებურებებზე მორგებას“.**

მეწარმოების განვითარების სააგენტოს დირექტორის, **გიორგი ციკოლიას** განცხადებით, სამმხრივი თანამშრომლობა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“, ახალი პროექტის — მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება. რეგიონებში მცხოვრები პირები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ახალი ბიზნესის წამოწყებით, ადგილობრივი წარმოების წახალისების მიზნით, მეწარმეობის განვითარების სააგენტოსგან ტექნიკურ მხარდაჭერას მიიღებენ: **„ეს თანამშრომლობა საქართველოს მთავრობის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ნათელი მაგალითია. ჩვენი მიზანია გავუმარტივოთ ბიზნესს ფინანსებზე და საჭირო ცოდნაზე წვდომა და ხელი შევუწყოთ საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ამასთანავე უზრუნველვყოთ, რომ ახალი ბიზნესი მომგებიანი იყოს გრძელვადიან პერსპექტივაში“.**

გიორგი ციკოლიას განმარტებით, ტრენინგებისთვის მომზადებული სპეციალური პროგრამები მეწარმეებს საშუალებას მისცემს, შეიძინონ ის უნარ-ჩვევები და ცოდნა, რაც მთავრობის მიერ სუბსიდირებულ სესხებსა და გრანტებზე წვდომას გაუადვილებს.

*მაია მიშელაძე*






# მოდელებზე „დაყენებული“ სასმელი

საუკეთესო სასმელების მოყვრულებს ძნელად თუ გააკვირვებ რამით, თუმცა, ერთმა გერმანულმა კომპანიამ ამის გაკეთება მაინც შეძლო — G-Spirits კლიენტებს ლამაზმანებზე „დაყენებულ“ სასმელს სთავაზობს. იდეა საკმაოდ მარტივია და თან შთამბეჭდავი — ბოთლში მოხვედრამდე ალკოჰოლური სასმელი ჯერ ტოპ-მოდელების ტანზე მოედინება. კომპანია, რომელიც ძირითადად რომის, ვისკისა და არყის ჩამოსხმითაა დაკავებული, აცხადებს, რომ Rum No.1 პირდაპირ 23 წლის ამინა მალაკონის, ხოლო 12-წლიანი დაძველების Whiskey No.1 მის-უნგრეთი-2012-ის, ალექსის ვარგას მკერდის გავლით მოხვდა ბოთლში, რომლის ღირებულება 177 დოლარია. სასმელს სერტიფიკატი მოყვება. მწარმოებლების თქმით, ალკოჰოლის ჩამოსხმისას დაცული იყო განსაკუთრებული სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, რაც მიწვეულმა სპეციალისტებმა უზრუნველყვეს.

# ციხეში ყალბი დამნაშავეები სხდებიან



ჩინეთში, სადაც ციხის საკმაოდ მკაცრი კანონები მოქმედებს, ადამიანები მაინც ახერხებენ მისი კლანჭებიდან დაძრომას, თუმცა, ეს ყველას არ შეუძლია და მხოლოდ მდიდარების ფუფუნებაა. ფულიან ჩინელებს, რომლებიც მართლმსაჯულების წინაშე აღმოჩნდებიან, შეუძლიათ შემცვლელი დაიქირავონ და საკუთარი თავის ნაცვლად, ციხეში ის გაუშვან. სასამართლო სისტემის ასეთ განსაკუთრებულობას საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს. მაგალითი კი დღესაც უამრავია — ერთ-ერთი ჰოსპიტლის დირექტორმა, რომელმაც ავტოავარიისას კაცი მოკლა, თანამშრომლის მამა დაიქირავა, რათა სასამართლოს წინაშე მის ნაცვლად წარმდგარიყო. კიდევ ერთი ახალგაზრდა, რომელიც წესრიგის დამცველებმა მოტოციკლის ულიცენზიოდ მართვისთვის დაიჭირეს, მხოლოდ იმით „დაისაჯა“, რომ განსასჯელის სკამზე ვინც ჩაანაცვლა, 8 ათასი დოლარი გადაუხადა. მსგავსი პრაქტიკა ჩინეთში უკვე იმდენად პოპულარული გახდა, სახელი შეარქვეს — დინგ ზუი, ანუ „ყალბი დამნაშავე“.

2015 წლის 27 აპრილს, 12:00 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №73, გაიმართება შპს N Electric cables-ის რეზინო-ტექნიკური და პოლიმერული ნაწარმის ნარჩენების გადამამუშავებელი დანადგარის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა.

საზოგადოების წარმომადგენლებისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

— შპს N Electric cables-ის ოფისი ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ბ.ხმელნიცკის ქ. №48, კორპ. 6, ბინა №26.
— შპს „ქიმიანი-ეკო“-ს ოფისი, ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №5;
— საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საიტი http://moe.gov.ge;

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მიაწოდოთ შპს N Electric cables-ს დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში.

საკონტაქტო პირები:
— დავით ნადირაშვილი ტელ: 599-026-075; ელ ფოსტა: Davit_pxoveli@yahoo.com
— ომარ ლომთაძე ტელ: 577-450-585; ელ. ფოსტა: o.lomtadze@gmail.com

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | | | | | 6 |
| 8 | 1 | 7 | | 6 | | 4 | | 2 |
| 2 | | | | 4 | | 1 | | |
| 7 | 8 | 4 | | | | | | |
| | | | 3 | | 7 | | | |
| | | | | | | 2 | 5 | 7 |
| | | 1 | | 8 | | | | 5 |
| 5 | | 9 | | 7 | | 8 | 2 | 1 |
| 4 | | | | | 1 | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 5 | | | 8 | | 7 | |
| | | | | | | 5 | 2 | 1 |
| | | | | 5 | | | | 8 |
| | | | 4 | 8 | | 3 | | |
| | 8 | | | 7 | | | 5 | |
| | | 1 | | 6 | 2 | | | |
| 6 | | | | 4 | | | | |
| 4 | 5 | 3 | | | | | | |
| | 2 | | 5 | | | 7 | | 9 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 3 | 9 | 8 | | 6 |
| | | 7 | 8 | | | | | |
| 3 | | | | 2 | | 1 | 9 | |
| 6 | 2 | | | | | | | |
| | 1 | | | | | | 3 | |
| | | | | | | | 5 | 1 |
| | 4 | 8 | | 9 | | | | 7 |
| | | | | | 8 | 3 | | |
| 5 | | 9 | 6 | 4 | | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 5 | |
| 2 | | 8 | 5 | 9 | 4 | | | |
| 4 | | 5 | | | | | | 9 |
| | | 1 | | | 3 | | | 6 |
| | | 9 | | 2 | | 3 | | |
| 6 | | | 7 | | | 5 | | |
| 7 | | | | | | 6 | | 1 |
| | | | 6 | 3 | 1 | 4 | | 7 |
| | 4 | | | | | | | |

# სიკვდილით დასჯის უცნაური მიზეზები



გასულ საუკუნეებში უამრავი ადამიანი, დამნაშავე თუ უდანაშაულო სიკვდილით დასაჯეს. ზოგის მიმართ ბრალდებები, შესაძლოა, ძალიან მძიმე იყო, მაგრამ ისტორიაში ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როცა ადამიანს ძალიან უცნაური და ზოგჯერ სასაცილო მიზეზების გამო ასალმებდნენ სიცოცხლეს. სწორედ ასეთი ფაქტების ტოპ-ათეული შეადგინა ერთ-ერთმა გამოცემამ. რეიტინგის ბოლო საფეხურზე შუა საუკუნეების ინგლისია — აქ სერიოზულ დანაშაულად ითვლებოდა უცხოელთან რომანი. ნისლიანი ალბიონის ყველა მცხოვრებს, ვისაც მსგავს „დანაშაულში“ ამხელდნენ, სიკვდილით დასჯა გარანტირებული ჰქონდა. მე-9 პოზიციაზე ჩინელები არიან: აქ სიკვდილით სჯიდნენ ადამიანებს, რომლებიც ისტორიას ამახინჯებდნენ. ქვეყანაში სპეციალურად დაქირავებული ხალხი აკონტროლებდა ისტორიის სწორად გადმოცემას. ამ უჩვეულო მიზეზთა სიაში, რასაკვირველია, ინკვიზიტორებიც მოხვდნენ. ისინი ჯადოქრობის ბრალდებით, ცოცხლად წვავდნენ ადამიანებს. თუმცა, ამ „დანაშაულისთვის“ არასოდეს გაუსამართლებიათ 50 კილოგრამზე მეტი წონის ქალბატონები. მიზეზი კი ის იყო, რომ ცოცხი (ჯადოქრების აუცილებელი ატრიბუტი) 50 კილოზე მეტ წონას ვერ უძლებს. სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდათ ფილოსოფოსებისთვისაც, რომლებიც საკუთარ ნაშრომებში ღმერთის არსებობას უარყოფდნენ.

შუა საუკუნების ფლორენციაში დამნაშავეებს აზნაურობას ანიჭებდნენ და ასე სჯიდნენ. საქმე ის იყო, რომ რესპუბლიკური მმართველობისას ხელისუფლებაში უბრალო ადამიანები მოდიოდნენ და აზაურებს ცუდი დღე ადგებოდათ. ინგლისში სიკვდილით სჯიდნენ იმ ადამიანებს, ვინც ოქროს დამზადებისას იაფფასიან მეტალს გამოიყენებდა. სასიკვდილო განაჩენი ელოდათ ძველ საბერძნეთში მათ, ვინც საერთო პლანტაციებიდან ნაყოფს მოიპარავდა. სიცოცხლესთან გამოსალმება უწევდათ ასევე რუსეთშიც იმ ადამიანებს, ვინც სახელმწიფო ხაზინიდან ფულს მოიპარავდა. სპარსეთში კი, ცივი ლუდის დამზადებაში ექვმიტანილს ორი გამოსავალი ჰქონდა — ან თავად უნდა ესვა ბლომად ეს ქარვისფერი სასმელი და ასე მომკვდარიყო, ანდა, ლუდით სავსე კასრში ახრჩობდნენ.





# სასტუმრო გულგატეხილებისთვის

შოტლანდიაში მდებარე ოტელის ArdochHouse-ის მცხოვრებთათვის ხელმძღვანელობას უჩვეულო შეთავაზება აქვს — 5-დღიანი დასვენება, რომლის დროსაც კლიენტს „საკუთარ შინაგან სამყაროში მოგზაურობას“ სთავაზობენ ახალი აღმოჩენებითა და მოგონებებით. ამგვარი „მოგზაურობის“ მიზანი დანაკარგთან შეგუებაა და უმთავრესად, მათთვისაა განკუთვნილი, ვინც საყვარელი ადამიანი დაკარგა. იდეის ავტორების თქმით, სტუმრებთან მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი კვალიფიციური კონსულტანტები იმუშავებენ. გულგატეხილებს ოტელი დასვენებას თვალწარმტაც გარემოში. ერთდროულად ამგვარი თერაპიის გავლა 20 მსურველს შეეძლება. ხუთდღიანი „მოგზაურობის“ ღირებულება კი 3725 ევრო იქნება.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 1 | 8 | 3 |
| 1 | 6 | 8 | 3 | 2 | 7 | 5 | 4 | 9 |
| 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 2 |
| 3 | 2 | 6 | 5 | 4 | 1 | 9 | 7 | 8 |
| 9 | 8 | 5 | 7 | 6 | 3 | 4 | 2 | 1 |
| 7 | 1 | 4 | 2 | 8 | 9 | 6 | 3 | 5 |
| 4 | 7 | 1 | 9 | 3 | 2 | 8 | 5 | 6 |
| 8 | 5 | 2 | 4 | 1 | 6 | 3 | 9 | 7 |
| 6 | 3 | 9 | 8 | 7 | 5 | 2 | 1 | 4 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9 | 4 | 7 | 5 | 1 | 3 | 8 | 6 |
| 3 | 1 | 8 | 9 | 6 | 4 | 7 | 2 | 5 |
| 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 8 | 1 | 9 | 4 |
| 1 | 7 | 9 | 2 | 4 | 6 | 8 | 5 | 3 |
| 8 | 5 | 6 | 1 | 3 | 9 | 4 | 7 | 2 |
| 4 | 3 | 2 | 8 | 7 | 5 | 6 | 1 | 9 |
| 9 | 2 | 3 | 4 | 1 | 7 | 5 | 6 | 8 |
| 6 | 8 | 7 | 5 | 9 | 3 | 2 | 4 | 1 |
| 5 | 4 | 1 | 6 | 8 | 2 | 9 | 3 | 7 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 9 | 3 | 1 | 6 | 7 | 2 | 8 |
| 3 | 2 | 1 | 9 | 7 | 8 | 4 | 6 | 5 |
| 8 | 6 | 7 | 5 | 4 | 2 | 3 | 1 | 9 |
| 2 | 3 | 4 | 1 | 9 | 5 | 8 | 7 | 6 |
| 1 | 9 | 8 | 2 | 6 | 7 | 5 | 4 | 3 |
| 7 | 5 | 6 | 8 | 3 | 4 | 2 | 9 | 1 |
| 9 | 1 | 5 | 7 | 2 | 3 | 6 | 8 | 4 |
| 6 | 8 | 2 | 4 | 5 | 1 | 9 | 3 | 7 |
| 4 | 7 | 3 | 6 | 8 | 9 | 1 | 5 | 2 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 3 | 2 | 5 | 1 | 8 | 6 | 7 | 4 |
| 4 | 1 | 6 | 9 | 7 | 3 | 8 | 5 | 2 |
| 8 | 5 | 7 | 6 | 4 | 2 | 1 | 9 | 3 |
| 7 | 6 | 1 | 8 | 3 | 5 | 2 | 4 | 9 |
| 5 | 2 | 4 | 7 | 9 | 1 | 3 | 8 | 6 |
| 3 | 9 | 8 | 4 | 2 | 6 | 5 | 1 | 7 |
| 6 | 4 | 5 | 3 | 8 | 9 | 7 | 2 | 1 |
| 2 | 7 | 3 | 1 | 5 | 4 | 9 | 6 | 8 |
| 1 | 8 | 9 | 2 | 6 | 7 | 4 | 3 | 5 |

მე-10 გვერდი: 1. მოსკიტი; 2. ოკრიბა; 3. „კუკარაჩა“; 4. ტონი; 5. ზიგზაგი; 6. იბერია; 7. ზელვეგერი; 8. გუსლი; 9. ტრიკონი; 10. ემულსია; 11. კნავილი; 12. ომი; 13. მეჯლისი; 14. რუანდა; 15. ბინოკლი; 16. ლეგიონი; 17. კრება; 18. ამალთეა; 19. აუგი; 20. ლიბერია; 21. მალავი; 22. აჩუ; 23. მანამა; 24. იპოდრომი; 25. შტორმი; 26. ორინოკო; 27. რეკეტი; 28. ტურა; 29. ინრო; 30. გინეა; 31. ლოიოლა; 32. ისარა; 33. „პეჟო“; 34. დიკლო; 35. ასი; 36. ოსკარი; 37. ასია; 38. ალფა; 39. ნეკი; 40. არიმანი; 41. დარი; 42. უმი; 43. ტლუ; 44. ოინი; 45. დო; 46. სამასი; 47. კასანდრა; 48. ვო; 49. როტა; 50. ესტრუსი; 51. ეკი; 52. ვირაჟი; 53. ბმო; 54. ლამი; 55. ნოე; 56. ენდრო; 57. სოლ; 58. ჩაი; 59. არიფი; 60. რაეო; 61. სკრა.

მე-12 გვერდი: 1. გველეშაპი; 2. ტრამალი; 3. გვარდია; 4. ელიფსი; 5. ელეგია; 6. რაფინადი; 7. მეტამორფოზი; 8. ლენა; 9. გალიფე; 10. ერუდიცია; 11. ადოპტაცია; 12. ფოტონი; 13. ოსეინი; 14. ელვა; 15. დესაი; 16. ლასო; 17. ირიდა; 18. ნემო; 19. დეპი; 20. ია; 21. ფაკირი; 22. ფაუ; 23. პიპმუაკანი; 24. დირე; 25. ფიფა; 26. პინტა; 27. ედი რედმეინი; 28. ფაზისი; 29. ანოა; 30. აქცია; 31. ელია; 32. ფიზიკა; 33. ვისი; 34. პიაცა; 35. ალკმენე; 36. დრო; 37. ალასანია; 38. ურა; 39. ირავადი; 40. ბიზე; 41. ერესი; 42. ამარილდო; 43. ამონიუმი; 44. კაა; 45. ბანი; 46. აკორდი; 46. იოანე; 48. არაქნე; 49. მაკე; 50. ბრა; 51. სიგელი; 52. კისერი; 53. იკაო; 54. ისარა; 55. მაო; 56. შაიბა; 57. ერმაკი; 58. იდეა; 59. მინა; 60. აიოვა; 61. რუნი; 62. ონა; 63. ტრაგედია; 64. შენგელაია; 65. ნერონი; 66. ლიე; 67. ზოდი; 68. პინა; 69. ბუმი; 70. ნინძა; 71. პოლ; 72. იუმი; 73. სიუ; 74. ავი; 75. პუებლო; 76. ნარდი; 77. პაბი; 78. ამინ; 79. მოა; 80. ნოა; 81. ისმაილი; 82. მიზანა; 83. „ილიადა“; 84. ნაცია; 85. ლია; 86. ოლდ; 87. კულმინაცია.

# ყველაზე ძვირიან შოკოლადს ყიდიან



ეკვადორში გასაყიდად გამოიტანეს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული შავი შოკოლადი. 45-გრამიანი ფილა ტკბილეულის ფასმა 230 ევრო შეადგინა. შოკოლადს, რომელსაც To'ak უწოდეს, სპეციალური ხის პინცეტით მიირთმევენ. ტკბილეულის შემქმნლები აცხადებენ, რომ მხოლოდ ასე შეიძლება შეიგრძნოთ To'ak-ის დახვეწილი არომატი. აღსანიშნავია, რომ კაკაოს წილი ამ ძვირაღირებულ შოკოლადში 81%-ს შეადგენს. მისი დამზადებისთვის კაკაოს ძალიან იშვიათი ჯიში გამოიყენება, რომელიც მხოლოდ წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ეკვადორის დასავლეთში ხარობს. მწარმოებლის განცხადებით, ეს ყველაზე ძვირიანი და სუფთა შოკოლადია მსოფლიოში, თუ არ ჩავთვლოით ფილების დეკორს.

1. ზედაპირულად განათლებული ადამიანი
2. საქონლის ან ფულის მიცემა სესხად
3. ტვირთის მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი
4. პეტრარკას სატრფო
5. თვითმფრინავის ან გემის კიბე
6. საგაზეთო სტატია მომხდარი ფაქტის შესახებ
7. ორი არასასურველი შესაძლებლ. ერთის არჩევა
8. ძვირფასი ქვა
9. ჰერმეტულად დახურული მინის ჭურჭელი წამლისათვის
10. გათუთქული მწიფე ტყემლის წვენი
11. ფრანგ მეფეთა სახელი
12. ზღვის ნაწლავღრუიანი ცხოველი
13. ქვეყნის ნაწილი
14. „მდოგვის გაზის“ მშობლიური ქალაქი
15. წრეწირის ნაწილი
16. ტკივილის გამომხატველი შორისდებული
17. ფედერიკო ფელინის ოსკაროსანი ფილმი
18. ხატაეთის მეფე „ვეფხისტყაოსანში“
19. სოფიკო ჭიაურელის კინოროლი
20. გრძელკისერა ცხოველი
21. თავბრუსხვევა
22. დახრილკოშკიანი ქალაქი იტალიაში
23. პლანეტის თანამგზავრი
24. უგონო მდგომარეობა
25. ტბა აფხაზეთში
26. ინდონეზიის დედაქალაქი
27. ვაზის სოკოვანი დაავადება
28. თიხის პატარა ჩასაბერი საკრავი
29. ნაღვლის პიგმენტი
30. ყაჩაღი - გურიაში
31. გასეირნება ბავშვის ენაზე
32. ოსკარი 2015-ის საუკეთესო მსახიობი ქალი
33. მიმართვა გერმანელი ქალბატონისადმი
34. ქალის ვარცხნილობის ტიპი
35. მილანის საოპერო თეატრი (ტირეს გარეშე)
36. რეჟისორ კუროსავას სახელი
37. საქონლის წონა ჭურჭლიანად
38. რბილი ჭედადი ლითონი
39. წილი საერთო საქმეში
40. მტკვრის უდიდესი შენაკადი
41. ტრადიციული კუბური გამაგრილებელი სასმელი
42. ხელსაწყო, რომელიც გარკვ. სამუშაოს ასრულებს
43. ავთანდილის ეროვნება „ვეფხისტყაოსანში“
44. სატელეფონო „სიტყვა“
45. ბგერის გრაფიკული ნიშანი
46. ვისიმე თანმხლები სამხედრო დაცვა
47. ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში
48. ვაზების მწკრივი ვენახში
49. ჯაყო ჯივაშვილის ეროვნება
50. იგივეა, რაც წლოვანება
51. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე
52. ყოფილი №1 ჩოგბურთელი აშშ-დან
53. ქაჯანას და ლომოურის მოთხრობაში
54. ებრაელთა წინამძღოლი
55. საქართვ. საფეხბურთო ნაკრების მეკარე
56. ნიგერის დედაქალაქი
57. მხატვრულ ნაკეთობათა მაღაზია
58. ისრაელის სამეფოს „ბრძენი“ მეფე
59. სიმებიანი საკრავი
60. ამერიკელი მსახიობი ... ფეროუ
61. მუსიკალ. გამის V ნოტი
62. მსოფლიო რელიგია
63. მტკიცე პირობა
64. ბურთის გადაცემა საკუთარი გუნდის წევრისათვის
65. ბარბის ბოიფრენდი
66. თბილისის უბანი
67. (ძვ.) ბედი, ბედისწერა
68. რეგულარული შემოსავალი კაპიტალიდან
69. ფრანგი მსახიობი ... დეპარდიე
70. მოლდავური ხალხური სიმღერა
71. პირველი ხმა მრავალხმიან სიმღერაში
72. ნესვის ხე
73. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი ჭაბუკი
74. ჰორიზონტ. ფიცარი ფანჯრის ქვეშ
75. ცისკარას სატრფო
76. კახეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი
77. ყელზე მოსახვევი ქსოვილი
78. ბეღურას მსგავსი მომცრო ფრინველი
79. არაბული ფლეიტა
80. თავშესაქცევი სანახაობა
81. სამი წერტილი კამათელზე
82. სხვადასხვა რასის ადამიანთა შთამომავალი
83. აზიის ყველაზე გრძელი მდინარე
84. ხვალის მომდევნო დღეს ანუ როდის?





# ცათამბჯენში ლიფტის დამონტაჟება დაავიწყდათ

ესპანეთის ქალაქ ბენიდორმში 47-სართულიანი შენობა ააგეს, მაგრამ მხედველობიდან გამორჩათ, რომ ასეთი სიმაღლის სახლში ლიფტიც იყო აუცილებელი. ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შენობის მშენებლობას სხვადასხვა პრობლემა დაებედა. გარდა სირთულეებისა დაფინანსებაში, 2011 წელს მშენებლობაზე უსიამოვნო ინციდენტიც მოხდა — ამწეს დაცემის გამო 13 ადამიანი დაშავდა. თავდაპირველი პროექტის მიხედვით, სახლი ჯერ კიდევ 2009-ში უნდა ჩაებარებინათ, მაგრამ შენობა დღესაც მხოლოდ 95%-ითაა დასრულებული. თავიდან ის 20-სართულიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ზედმეტი სართულების დაშენებისას, უცნობი მიზეზების გამო, იქ ლიფტის ჩამონტაჟება გამორჩათ. როგორ მოაგვარებს მშენებელი კომპანია ამ პრობლემას, ჯერჯერობით უცნობია.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.